მივიღებთ, რომ პირველი ინტეგრალი რჩება უცვლელი, ხოლო მეორე, მესამე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ინტეგრალები უტოლდება ნულს (9) სასაზღვრო პირობების გამო. მეოთხე ინტეგრალს კი უცვლელს ვტოვებთ; ასე რომ, (9) სასაზღვრო პირობების გათვალისწინებისას მიღებული შედეგების გამოყენებით (7) განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{\partial}{\partial t} \iint_{y_x} p_s \left(E + \frac{p_s}{2} \right) dx dy = - \iint_{y_x} \left[p_s \left(u \frac{\partial \Phi_s}{\partial x} + v \frac{\partial \Phi_s}{\partial y} \right) \right] dx dy \quad (10)$$

ამ გამოსახულებაში გამოვიყენოთ დამოკიდებულება: $\frac{d}{dt} = \frac{\partial}{\partial t} + u \frac{\partial}{\partial x} + v \frac{\partial}{\partial y}$ და

გვექნება:

$$\frac{\partial}{\partial t} \iint_{y_x} p_s \left(E + \frac{p_s}{2} - \Phi_s \right) dx dy = - \iint_{y_x} p_s \frac{d\Phi_s}{dx} dx dy \quad (11)$$


იმისათვის, რომ (11)-ის მარცხენა მხარე იყოს მუდმივი, აუცილებელია, რომ $\frac{d\Phi_s}{dt} = 0$, ე.ი. დროის გარკვეულ მონაკვეთში ჰაერის მასა რელიეფზე არ იცვლის ფორმას. ის გადაადგილდება მხოლოდ, როგორც ერთი მთლიანი.

ამ თეორიული დაშვების სამართლიანობის დადგენისათვის აუცილებელი იყო გეოპოტენციალური ველის ცვლილების შემოწმება საპროგნოზო დროის განმავლობაში (24სთ; 48სთ). ამისათვის აღებულ იქნა A_{850} რუკა, (11×11 წერტილი ბიგით $\Delta x = \Delta y = 300$ კმ). ბაღე მოიცავს მთელ კავკასიას. დამუშავდა ჯერ ორი, შემდეგ სამდღიანი პროცესების შესაბამისი მონაცემები. მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია გეოპოტენციალური სიმაღლის ფარდობითი ცვლილება $\frac{\Delta \Phi_s}{\Phi_s^2}$, ანუ

$\frac{\Phi_s^2 - \Phi_s^1}{\Phi_s^2}$ 24 სთ და 48 სთ-ის განმავლობაში, სადაც Φ_s^2 არის გეოპოტენცი-

ალური სიმაღლის პროგნოზული, ხოლო Φ_s^1 -კი საწყისი მნიშვნელობა.

* აღნიშნულია თბილისი, რომლის განედია $45^{\circ} 45'$. გათვლებმა აჩვენეს, რომ პირობა



$$\frac{d\Phi_s}{dt} = 0. \text{ მართლაც, სრულდება ყველა იმ ძირითადი პირობები, რომლებიც } \Phi_s \text{ მართლაც, სრულდება ყველა იმ ძირითადი პირობები, რომლებიც } \Phi_s$$

სიტუაციებისათვის, რომელთაც ადგილი აქვს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე [4].
ესენია: დასავლეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთის ტალღური აღრევები და მალალი წნევის, ანუ ანტიციკლონური შემოჭრა.

აღმოჩნდა, რომ სამხრეთ-დასავლეთის შემოჭრისათვის აღნიშნული პირობა ირღვევა მაქსიმუმ 3%-ით, საშუალოდ 1,3%-ით 24 საათიანი წინგათვლით, 48 საათისთვის კი - მაქსიმუმ 8%-ით, საშუალოდ - 6,9%-ით. ჩრდილო-აღმოსავლეთის შემოჭრისათვის მაქსიმუმია 5%, საშუალო ცვლილება - 1,7%-ია 24 საათიანი პროცესისათვის, ხოლო 48 საათიანი პროცესისათვის მაქსიმუმია 5%, საშუალო ფარდობითი ცვლილება კი - 2,3% (ცხრილი 1,2).

გეოპოტენციალური სიმაღლის განსაზღვრისას აბსოლუტური ცდომილების მაქსიმუმი სამხრეთ-დასავლეთის შემოჭრისათვის არის - 14 გეოპოტენციალური მეტრი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთის შემოჭრისათვის - 7 გეოპოტენციალური მეტრი. მსგავსი შედეგები იქნა მიღებული დანარჩენი შემოჭრებისათვისაც.

ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება მივიღოთ, რომ ორი და სამი დღის განმავლობაში Φ_s რჩება უცვლელი დასაშვები სიზუსტით. ეს კი საშუალებას გვაძლევს, შემოწმდეს $N = \int \int_{xy} p_s (E + p_s/2 - \Phi_s) dx dy$ გამოსახულების ინვარიანტობა და

მისი გამოყენების შესაძლებლობა სქემის მდგრადობის კრიტერიუმად.

ახალი ენერგეტიკული ინვარიანტის ყოფაქცევის შესწავლის მიზნით, დამუშავდა AT_{700} , AT_{500} , AT_{300} ბარიული ტოპოგრაფიის რუკები. საპროგნოზო არე მართკუთხედი (21x21) წერტილით, რომელიც მოიცავს მთელი კავკასიის რეგიონს. სივრცული ბიჯები OX და OY ღერძებზე 300 კმ-ია. განხილული იყო ორი განსხვავებული სინოპტიკური სიტუაცია: ჩრდილო-აღმოსავლეთის შემოჭრა, რომელიც დაიკვირვებოდა 1990 წლის 5, 6, 7 აპრილს და სამხრეთ-დასავლეთის შემოჭრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმავე წლის 12, 13, 14 აპრილს.

შეფასდა $E_{\text{ინ}}$ სიდიდის ქცევა, როგორც 24 საათიანი, ისე 48 საათიანი პროცესისათვის. ამ მონაკვეთში სასაზღვრო პირობები მეტ-ნაკლებად დაცულია. ჩრდილო-აღმოსავლეთის შემოჭრისათვის 24 სთ-იანი და 48 სთ-იანი პროცესებისას $E_{\text{ინ}}$ ენერგეტიკული სიდიდის ფარდობითი ცვლილება შესაბამისად იყო 0,4-2 %-ის დიაპაზონში, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის შემოჭრისათვის კი იმავე პერიოდის პროცესებისათვის $E_{\text{ინ}}$ სიდიდის ფარდობითი ცვლილება 0,5-1 %-მდეა (ცხრილი 3,4), რაც დასაშვებ სიდიდეზე ნაკლებია.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ $E_{\text{ინ}}$ ენერგეტიკული სიდიდე მალალი სიზუსტით ინახება და ის წარმოადგენს ატმოსფეროში მიმდინარე პროცესებისათვის ენერგეტიკულ ინვარიანტს. ეს დასკვნა დადასტურა ამინდის საპროგნოზო მოდელმაც, რომელიც ეყრდნობა გამარტივებულ ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრულ სისტემას. ეს მოდელი გამოიყენება 500 მმ-იან ზედაპირზე მიმდინარე პროცესების აღსაწერად, შემდეგი სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით:

$$C_n \Big|_{\Gamma} = 0; \quad \frac{\partial C_k}{\partial t} \Big|_{\Gamma} = 0; \quad \frac{\partial \Phi}{\partial t} \Big|_{\Gamma} = 0.$$



C_k, C_n - ქარის სიჩქარის $C(u, v)$ ვექტორის ნორმალური და მხებე მდგენელებია საზღვრების მიმართ. საწყის პირობად აღებული იყო AT_{500} რუკის მონაცემები 1990 წლის 4 ივნისისათვის. დაიკვირვებოდა აღმოსავლეთის შემოჭრა. 24 საათიანი პროცესისათვის E_{obs} ენერგეტიკული სიდიდის ფარდობითი ცვლილება 0,6% -ია, ე.ი. E_{obs} - ინტეგრალური სიდიდე 500მმ-იან დონეზე საკმარისად მაღალი სიზუსტით შეიძლება ჩაითვალოს ამ მოდელის მდგრადობის კრიტერიუმად. 4-5 ივნისის რეალური და საპროგნოზო მონაცემების შედარებით მიღებულია, რომ E_{obs} -ის ფარდობითი ცვლილება არ აღემატება 1,1%-ს, რაც განსაზღვრავს აღნიშნული მოდელის მუშაობის მაღალ სიზუსტეს.

ცხრილი 1

2.1	2.0	1.2	2.1	3.0
1.2	1.1	1.1	1.2	2.2
1.2	1.1	*	1.7	2.0
1.1	1.2	1.8	2.8	3.8
1.1	1.1	2.1	2.9	4.7

ცხრილი 2

3.8	3.7	2.8	2.6	3.0
1.1	1.1	1.8	1.8	1.9
1.9	1.2	*	2.7	2.6
1.1	1.1	2.0	2.7	3.9
0	1.1	2.0	2.6	4.8

გეოპოტენციალის ფარდობითი ცვლილება (%)

ჩრდილო-აღმოსავლეთის შემოჭრისათვის

(24 საათიანი პროცესი)

(48 საათიანი პროცესი)

ცხრილი 3

სინოპტიკური სიტუაცია	700მმ	500მმ	300მმ
ჩრდილო-აღმ. შემოჭრა	0,4%	0,2%	2%
სამხრეთ-დას. შემოჭრა	1%	1%	0,5%
აღმოსავლეთის შემოჭრა	-	0,6%	-

ცხრილი 4

სინოპტიკური სიტუაცია	700მმ	500მმ	300მმ
ჩრდილო-აღმ. შემოჭრა	0,4%	0,3%	2%
სამხრეთ-დას. შემოჭრა	1%	1%	1%

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ იქნა, რომ სიდიდე E_{obs} შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთაგორიანი რეგიონებისათვის რიცხვითი სქემების ინტეგრალურ ინვარიანტად დასაშვები სიზუსტის ფარგლებში.

ივ. ჭავჭავაძის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოიღა 25.10.1993)

Н.Г.Павленишвили

Учет орографии в энергетической характеристике
атмосферной баротропной модели

Р е з ю м е

С помощью теоретических исследований был получен энергетический инвариант на среднем уровне атмосферы для Кавказского региона. Теоретический вывод был проанализирован на реальные данные состояния атмосферы, что подтвердило эффективность полученного энергетического инварианта, который можно использовать в роли критерия устойчивости прогностических схем для горных регионов.

GEOPHYSICS

N. Pavlenishvili

Taking into Consideration Orography in Energy Characteristic of
Atmosphere Barotropic Model

Summary

In consequence with theoretical research Energy Invariant on the atmosphere's middle level for Caucasus region was obtained. The checking of results was done on the real statistics that showed the truth of the permissible approximation. That is why it is possible to use this Energy Invariant as a criterion of prognostic models stability for mountainous regions.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *Л.Н.Белов*. Численные методы прогноза погоды. Л., 1989, 301 с.
2. *З.В.Хведелидзе*. Сообщения АН Грузии, 141,3, 1991, 533-536.
3. *Е.А.Напетваридзе*. Тр. ЗаКНИГМИ, вып. 100, 1962, 10-15.
4. *ზ.ხვედელიძე*. ამინდის პროგნოზის რიცხვითი მეთოდები ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სისტემის გამოყენებით. ნაწ. III, თბილისი, 1981.

Ж.Г.Гурджия, Г.Д.Супаташвили, З.Дж.Читиашвили, Г.А.Махарадзе

Прогнозирование миграционных форм свинца в природных водах

(Представлено академиком Г.В.Цинцадзе 25.06.1993)


В связи с растущей проблемой загрязненности окружающей среды стало необходимым наряду с контролем общего содержания тяжелых металлов в природных водах изучение и химических форм их нахождения. Анализ литературных данных показывает, что от сосуществующих форм металлов зависит токсичность и биодоступность элементов, что играет решающую роль в миграции металлов в биохимическом цикле [1-3]. Определение только валового содержания металлов в природных водах не может дать полной информации об экологических ситуациях водоемов, поэтому возникает необходимость определения и сосуществующих форм [4,5].

Определение миграционных форм свинца в природных водах является сложной аналитической задачей [6,7], для решения которой используются как расчетные [7,8], так и экспериментальные методы [9,10].

Нами составлена программа, дающая возможность прогнозирования – соотношения сосуществующих форм свинца путем моделирования природных процессов с последующим расчетом с помощью IBM-PC/AT-286 на основе данных об устойчивости соединений свинца с комплексообразующими веществами вод неорганической и органической природы. Параллельно сосуществующие формы свинца в природных водах определялись экспериментально.

Для теоретических расчетов сосуществующих форм свинца в качестве модельных систем были выбраны воды рек и озер разного типа, минеральные и атмосферные воды.

Уравнение баланса соединений свинца в водах можно записать следующим образом:



Аналогичное уравнение составлено для макро- (Ca^{2+} , Mg^{2+}) и микро- (Cu^{2+} , Cd^{2+} , Hg^{2+} и др.) компонентов природных вод с учетом конкурирующего комплексообразования с их неорганическими и органическими лигандами. По этим уравнениям и на основе данных о константах устойчивости каждого комплекса рассчитывали

сосуществующие формы свинца по программе *NCQ* на ЭВМ *IBM-PC/AT-286*. Результаты расчета показывают, что соотношение сосуществующих форм свинца сильно зависит от химического состава вод (табл. 1). В исследованном диапазоне *pH* вод и их химического состава вклад ионной формы, сульфатных и хлоридных комплексов свинца незначителен. Исключением являются воды р. Куры (с. Шихлы), где вклад сульфатных комплексов достигает 33% (содержание $\text{SO}_4^{2-} = 116,2$ мг/л). В целом для вод рек Грузии определяющими формами являются гидроксо- и фульватные комплексы свинца. При значении *pH* вод от 7,5 до 8,3 вклад гидроксокомплексов растет от 9,1 до 48%. Около 20% свинца существует в гидрокарбонатной форме. С ростом цветности вод от 1 до 10° и, соответственно, с уменьшением *pH*, вклад сульфатных комплексов повышается от 1,7 до 70,2%. В атмосферных осадках доминирующими формами являются ионная форма и фульватные комплексы свинца (табл.).

Таблица

Соотношение химических форм свинца в атмосферных осадках, поверхностных и минеральных водах, %

Объект	Pb^{2+}	PbOH^+	$\text{Pb}(\text{OH})_2$	PbHCO_3	$\text{Pb}(\text{HCO}_3)_2$	PbSO_4	PbФК
Атмосферные осадки							
Дождь (Тбилиси)	40,21	0,33	0,00	4,23	0,00	14,32	40,44
Снег (Цхнети)	65,64	1,53	0,00	4,33	0,00	5,00	24,62
Дождь (Руиспири)	47,70	5,44	0,59	4,45	2,45	9,44	32,34
Реки							
Риони-Глола	14,14	11,49	9,05	19,49	1,61	7,33	36,88
Риони-Жонети	9,26	16,12	26,51	18,63	2,19	8,17	19,09
Кура-Вардзия	9,65	10,26	10,41	20,55	2,60	3,32	43,20
Кура-Дзегви	5,57	12,66	27,46	14,40	2,20	8,29	29,40
Кура-Шихлы	7,63	11,20	15,69	20,63	3,30	33,11	8,85
Арагви-Жинвали	5,18	16,09	47,07	14,92	2,51	4,55	9,67
Озера							
Паравани	11,25	4,76	1,96	7,08	0,27	4,43	70,24
Лиси	3,66	4,69	5,59	24,00	9,07	50,99	1,69
Базалети	6,35	13,27	26,26	30,55	8,62	6,21	8,71
Севан	0,46	2,78	16,25	3,11	1,25	0,34	4,1
Минеральные воды							
с. Коби	2,99	0,00	0,00	48,90	47,06	0,87	—
с. Паншети	3,59	0,11	0,00	51,05	40,71	4,40	—

 * PbCO_3 — 71,3 %

Зависимость сосуществующих форм свинца от химического состава вод хорошо прослеживается на примере минеральных вод. Практически в отсутствии органических лигандов при низком pH для гидрокарбонатных минеральных вод Казбегского района 99% свинца закомплексовано в гидрокарбонатной форме. Карбонатные формы свинца (71,3%) наблюдаются в водах оз. Севан (табл.).

В основу экспериментального изучения сосуществующих форм свинца была положена схема, предусматривающая последовательную экстракцию с целью определения ионной, неорганических и органических комплексных соединений свинца и разделение на сефадексе G-25.

Содержание растворенного свинца в поверхностных водах Грузии колеблется от 0,1 до 7,5 мкг/л [11]. Данные о молекулярно-массовом распределении сосуществующих соединений свинца, полученные фильтрацией концентратов вод через сефадекс G-25, показывают, что основной вклад в общий баланс соединений свинца в фазе раствора вносят комплексные соединения с $\bar{M}_w \geq 1000$ (содержание свинца варьирует от 0 до 85% от $Pb_{\text{раств.}}$) и низкомолекулярные соединения с $\bar{M}_w \leq 400$ (содержание свинца от 0 до 90%). Данные, полученные при определении неорганической формы свинца с применением дициклогексил-18крауном-6 в природных водах, также показывают, что относительное содержание неорганической формы свинца варьирует от 20 до 80% [12, 13]. Учитывая данные об устойчивости комплексов свинца в водных растворах, а также значения средневесовых молекулярных масс комплексов и pH вод, можно предполагать, что высокомолекулярная фракция представлена комплексными соединениями свинца с фульвокислотами (ФК). Это подтверждается наличием свинца во фракциях с объемом выхода, характерным для ФК при их разделении на сефадексе G-25. Наиболее вероятные формы комплексных соединений свинца во фракции с объемом выхода для веществ с $\bar{M}_w \leq 400$, можно оценить с помощью расчетов на основе данных о константах устойчивости неорганических комплексов свинца и концентрации неорганических лигандов в природных водах. По расчетным данным можно утверждать, что свинец, содержащийся во фракции $\bar{M}_w \leq 400$, представлен главным образом гидроксокомплексами.

Тбилисский государственный
университет им. И.А. Джавахишвили

(Поступило 28.06.1993)

საქართველოს აკადემიის

ე. გურჯია, გ. სუპათაშვილი, ზ. ჩითიაშვილი, გ. მახარაძე

ტყვიის არსებობის ფორმების პროგნოზირება ბუნებრივ

წყლებში

რეზიუმე

ჩვენ მიერ დამუშავებულია პროგრამა, რომლის საშუალებითაც გამოთვლილია ბუნებრივ წყლებში ტყვიის არსებობის ფორმები ეგმ IBM-PC/AT-286 გამოყენებით.

ნაჩვენებია, რომ საქართველოს ბუნებრივ წყლებში ტყვია ძირითადად არსებობს ფულვატური და ჰიდროქსოკომპლექსების სახით. მიღებული მონაცემები კარგ თანმთხვევაშია ექსპერიმენტით მიღებულ შედეგებთან.

ANALYTICAL CHEMISTRY

Zh. Gurjia, G. Supatashvili, Z. Chitashvili, G. Makharadze.

Prediction of Chemical Form of Leads in Natural Waters

Summary

The originally written programme has been developed for calculations of the ratio of coexisting forms of leads in natural waters using IBM PC/AT-286. It was shown that fulvate and hydroxso complexes predominate in surface fresh waters.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *P.P.Брукс*. В кн.: Химия окружающей среды. М., 1982.
2. *H.Fishman, J.D. Hen*. Geol. Surv. Propess. Pap. Washington, 1976.
3. *Дж. В. Мур, С. Рамамури*. Тяжелые металлы в природных водах. М., 1987, 257.
4. *T.M.Florence, G.E. Batlery*. Talanta, 24, 1977, 151-158.
5. *П.Н.Лишник, Б.И. Набиванец* Формы миграции металлов в пресных поверхностных водах. Л., 1986.
6. *Н.Г.Полянский*. Аналитическая химия элементов, свинец. М., 1986.
7. *И.Ю.Любченко*. Геохимия свинца в осадках современных водоемов. М., 1977.
8. *Г.М.Варшал, А.Н. Инцкирвели, И.С. Сироткина, И.В.Колосов, И.Я. Кошечева*. Геохимия, 10, 1975.
9. *M.Schitzer, E.H. Hansen*. Soil Sci., 109, 6, 1970.
10. *T.M. Florence, G.E. Batley*. CRC Critical Rew. Anal. Chem., 9, 3, 1980..
11. *Ж.Г. Гурджия, Г.Д. Супаташвили*. Труды ТГУ, 256, 1987.
12. *Г.Д. Супаташвили, Л.Ш. Шармиашвили, Ж.Г. Гурджия, Г.Д. Асамбадзе*. Труды ТГУ, 246, 1984.
13. *Ж.Г. Гурджия, Л.К. Шпигун, Е.А. Новиков, Г.Д. Варшал, Г.Д. Супаташвили*. Деп. в ГрузНИИНТИ, 16.07.90, Тбилиси, №693-Г906.

თ. რუსიეშვილი, ნ.ძოწენიძე, გ. ქუთათელაძე

რკინის (III) განსაზღვრის კინეტიკური მეთოდი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ხანანაშვილმა 27.7.1993)

პიროფენოლების დაქანგვის რეაქციაზე სამვალენტო რკინის იონების (Fe^{3+}) კატალიზური მოქმედების გამოკვლევის შედეგად შერჩეულია ახალი ინდიკატორული რეაქცია - გალუს მჟავას (R) წყალბადის პეროქსიდით (H_2O_2) დაქანგვა Fe^{3+} თანაობისას. რეაქციის სიჩქარე Fe^{3+} კონცენტრაციის პროპორციულია. აღნიშნული რეაქციის საფუძველზე შემუშავებულია Fe^{3+} განსაზღვრის კინეტიკური მეთოდი.

Fe^{3+} თანაობისას R-ის H_2O_2 -ით დაქანგვის შედეგად მიღებული ყვითელი შეფერვა თანდათან მუქდება და გადადის ყავისფერში. ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე იზომება მქანგვის დამატებიდან 2 წუთის შემდეგ ფოტოკოლორიმეტრზე (ФЭК-М), მწვანე შუქფილტრისა ($\lambda_{ფილტრ.} = 348$ ნმ) და 2 სმ კიუვეტის გამოყენებით. ოპტიკური სიმკვრივის (I) ცვლილება აღირიცხება თვითჩამწერზე (КСП-4), რომელიც შეერთებულია ფოტოკოლორიმეტრთან. მიღებული წრფის დახრის კუთხის ტანგენსი ($tg\alpha$) რეაქციის სიჩქარის (v) პირდაპირპროპორციულია.

რეაქციის მიმდინარეობის ოპტიმალური პირობების დადგენის მიზნით, რეაქციის კინეტიკა გამოკვლეულია პრინციპით - ოპტიმალურ პირობებს შეესაბამება $v_{კატ.} - v_{არაკატ.} = \Delta v$ მაქსიმალური მნიშვნელობა $\Delta v_{მაქს.}$. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კატალიზური და არაკატალიზური რეაქციების ერთნაირ პირობებში მიმდინარეობისას (გარდა $C_{კატ.}$) კატალიზატორით გამოწვეული ეფექტი $\Delta v_{მაქს.}$ მნიშვნელობას შეესაბამება და გამორიცხავს კატალიზური რეაქციის სიჩქარის მნიშვნელობის მოჩვენებით ზრდას არაკატალიზური რეაქციის სიჩქარის გაზრდის გამო.


ოპტიმალური პირობების დადგენის მიზნით შესწავლილია კატალიზურ და არაკატალიზურ რეაქციის სიჩქარეზე ($v_{კატ.}$, $v_{არაკატ.}$) გალუს მჟავას C_R , წყალბადის პეროქსიდის $C_{H_2O_2}$ და კატალიზატორის $C_{Fe^{3+}}$ კონცენტრაციის, არის pH-ის, მჟავას ბუნების, ტემპერატურისა (t) და გარეშე იონების გავლენა.

რეაქციის სიჩქარეზე C_R გავლენის შესწავლამ დაგვანახა, რომ $\Delta v_{მაქს.}$ მიიღწევა $C_R = 2 \cdot 10^{-3}$ M. $\Delta v \cdot C_R$ დამოკიდებულება აისახება მიხაელისის გაცხერების მრუდით.

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ H_2O_2 -თვის ოპტიმალურია $C_{H_2O_2} = 2 \cdot 10^{-3}$ M. $C_{H_2O_2} > 10^{-3}$ M დროს ადგილი აქვს რეაქციის სიჩქარის შემცირებას, რაც შეიძლება აიხსნას კონკურენციული დამუხრუჭებით.

ცდებით დადგენილია, რომ პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება $C_{Fe^{3+}}$ და $v_{კატ.}$ შორის არსებობს 0,1 - 10 მკგ/მლ რკინის კონცენტრაციის ზღვრებში.

ტემპერატურის გაზრდით (5 - 35⁰ C) Δv იზრდება, შედარებით უფრო მაღალ t-ზე კი Δv მცირდება არაკატალიზური რეაქციის სიჩქარის გაზრდის გამო.



სურ. მჟავიანობისა და მჟავას ბუნების გავლენა რეაქციის სიჩქარეზე.

ლების განსხვავებული მნიშვნელობებით. რაც შეეხება HCl, H₂SO₄, H₃PO₄, CH₃COOH გამოყენებას, ცნობილია, რომ Cl⁻, SO₄²⁻, PO₄³⁻, CH₃COO⁻ იონები რკინასთან წარმოქმნიან კომპლექსებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ნაკლებად მდგრადია, ვიდრე რეაქციის შუალედური რკინის შემცველი სამმაგი კომპლექსი. გამომდინარე იქიდან, რომ pH 2 - 3 ზღვრებში რკინა [Fe(OH)]²⁺ ფორმის სახით არსებობს [1], შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ იგი წარმოადგენს აღნიშნული ინდიკატორული რეაქციის კატალიზატორს. ასევე მოსალოდნელია რკინასა და გალუს მჟავას (R) შორის მუხტის გადამტანი კომპლექსის წარმოქმნა




ამ სქემის სასარგებლოდ ლაპარაკობს pH ზრდა რეაქციის მსვლელობის დროს.

გარეშე იონების გავლენის შესწავლამ დაგვანახა, რომ კატალიზური რეაქციის მიმდინარეობას ხელს არ უშლის Na⁺, K⁺, Ca²⁺, Zn²⁺, Mn²⁺, Al³⁺ ნებისმიერი რაოდენობა. რეაქციის სიჩქარეზე გავლენას ახდენს კატიონებიდან Cu²⁺ 200-ჯერადი და Mg²⁺ 100-ჯერადი რაოდენობა, ხოლო ანიონებიდან F⁻, CH₃COO⁻, PO₄³⁻ იონები.

ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე შემუშავებული განსაზღვრის კინეტიკური მეთოდით Fe³⁺ განსაზღვრულია საქართველოს მინერალურ წყლებში. შედეგები შედარებულია ო - ფენანტროლინით [2] რკინის განსაზღვრის შედეგებთან.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოწოდებული მეთოდით შესაძლებელია Fe³⁺ განსაზღვროს ძლიერ მჟავა არეში, რაც საშუალებას იძლევა დავადგინოთ Fe³⁺ შემცველობა ადვილად ჰიდროლიზებად მარილებში. აღნიშნული მეთოდით რკინა განსაზღვრულია „ზესუფთა“ მარკის ალუმინის ნიტრატში, „ანალიზისათვის სუფთა“

რეაქციის სიჩქარეზე ხსნარის pH და მჟავას ბუნების გავლენის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მნიშვნელოვანი მიერი მჟავას გამოყენების დროს Δα_{საკ.} მიიღწევა მჟავიანობის ერთსა და იმავე მნიშვნელობაზე (pH 2-3), განსხვავება მხოლოდ Δα აბსოლუტურ მნიშვნელობაშია. როგორც სურათიდან ჩანს, რეაქცია მაქსიმალური სიჩქარით მიმდინარეობს ქლორის, შედარებით ნელა აზოტისა და გოგირდის, ძალიან ნელა მარილმჟავას არეში, რაც მიუთითებს ანიონების გავლენაზე. HClO₄ და HNO₃ შემთხვევაში Fe³⁺-თან კომპლექსის წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის, სხვადასხვა მჟავას გამოყენების დროს რეაქციის სიჩქარეთა შორის განსხვავება უნდა აიხსნას ჟანგვა-აღდგენითი პოტენცია-



მარკის მანგანუმის (II) და თუთიის ქლორიდებში. მარილებში Fe^{3+} განსაზღვრის შედეგები შედარებულია აშ-მჟავათი Fe^{3+} განსაზღვრით [3] მიღებულ შედეგებთან.

ცხრილი

რკინის განსაზღვრის შედეგები მდინარის წყლებსა და მარილებში

ნიმუში	რკინის განსაზღვრის შედეგები				ცდომილება	
	ო-ფენან-ტროლინით მკგ/ლ	აშ-მჟავათი მკგ/კგ	გალუს მჟავათი		აბსოლუტური	ფარდობითი %
			მკგ/ლ	მკგ/კგ		
1. ლიხვი (გორი)	73,2		70,0		-3,2	4,5
2. ალაზანი (წნორი)	54,9		50,7		-4,2	7,7
3. არაგვი	73,2		74,3		1,1	1,5
4. რიონი (გლოლა)	33,5		37,5		4,0	11,9
5. ალუმინის ნიტრატი „ზესუფთა“ მარკის		183,7		195,2	11,5	5,6
6. მანგანუმის (II) ქლორიდი „სუფთა“ მარკის		205,8		230,3	24,5	11,9
7. თუთიის ქლორიდი „სუფთა“ მარკის		300,3		280,5	-19,8	6,6

რკინის განსაზღვრის მეთოდიკა. Fe^{3+} მზარდ რაოდენობას 0,1,2,3,4,5 მლ ($T_{Fe^{3+}} = 1$ მკგ/მლ) ამატებენ 1 მლ $2 \cdot 10^{-2}$ M გალუს მჟავას, 2 მლ $2 \cdot 10^{-2}$ M წყალბადის პეროქსიდს, 1 მლ $2 \cdot 10^{-2}$ M ქლორის მჟავას, მოცულობა მიჰყავთ 10 მლ-მდე ორჯერ გამოხდილი წყლით, ანჭლრევენ 10 წამის განმავლობაში, ათავსებენ 2 სმ კიუვეტაში და იწერენ კინეტიკურ მრუდს ფოტოკოლორიმეტრთან (ФЭК-М) შეერთებულ თვითაპწერზე (КСП-4). სარგებლობენ დამატების მეთოდის დიფერენციალური ვარიანტით. საკალიბრო მრუდს აგებენ ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით უმცირესი კვადრატების მეთოდით.

რკინის განსაზღვრის ინტერვალი, გათვლილი 3Sr კრიტერიუმით, ტოლია 0,1 - 10 მკგ/მლ. მეთოდის საიმედოობა შემოწმებულია $Fe(III)$ განსაზღვრით მოდელურ ხსნარებსა და სტანდარტულ ნიმუშებში.

ივ.ჭავჭავიძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 01.09.1993)

АНАЛИТИЧЕСКАЯ ХИМИЯ

Т.Г.Русиешвили, Н.Дзოценидзе, Г.Кутателадзе

Кинетический метод определения железа (III)

Резюме

Предложен новый кинетический метод определения $Fe(III)$, основанный на реакции окисления галловой кислоты перекисью водорода. Установлены оптимальные условия проведения индикаторной

реакции. Разработанным кинетическим методом определено железо (III) в речных водах и в образцах легкогидролизующих солей. Предел обнаружения Fe(III) 0,1-10 мкг/мл. Погрешность метода 10-15%.

ANALYTICAL CHEMISTRY

T. Rusieshvili, N. Dzotsenidze, G. Kutateladze.

Kinetical Method of Fe (III) Defining

Summary

New kinetical method of Fe(III) defining is suggested. It is based on the oxidation of gallic acid by hydrogen peroxide.

Optimal conditions of carrying out indicative reactions are obtained. By this method the containing of Fe(III) in the river waters and in samples of freely hydrolyzed salts is estimated.

Detection limit of Fe(III) is 0.1-10 mkg/ml. Error of the method is 10-15%.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *А.А.Резников, Е.П.Муликовская, И.Ю.Соколов.* Методы анализа природных вод. М., 1970.
2. *З.В.Марченко.* Фотометрическое определение элементов. М., 1971.
3. *С.У.Крейнгольд, Е.А.Божевольнов.* Химические реактивы и препараты. Вып.13, 1966.


გ.ჩახტაურა, გ. გამზიანა, მ.გვერდწითელი

თიოლების ალგებრული დახასიათება

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ.ხანანაშვილმა 17.3.1993)

მოლეკულური გრაფების თანაზიარობის მატრიცები და მათი მოდიფიკაციები ფართოდ გამოიყენება მათემატიკურ ქიმიაში [1]. თანაზიარობის მატრიცების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს რნბ-მატრიცები [2,3], რომელთა დიაგონალური ელემენტებია მოლეკულაში შემავალი ატომების რიგობრივი ნომრები, არადიაგონალური ელემენტები – ქიმიური ბმების გერადობა.

მეთანთიოლის მაგალითზე განვიხილოთ რნბ-მატრიცების აგების მეთოდი. ქვემოთ მოყვანილია მეთანთიოლის გრაფიკული ფორმულა მასში შემავალი ატომების ნუმერაციით, მარჯვნივ – შესაბამისი რნბ-მატრიცა



6	1	0	1	1	1
1	16	1	0	0	0
0	1	1	0	0	0
1	0	0	1	0	0
1	0	0	0	1	0
1	0	0	0	0	1

მატრიცის პირველი სვეტი შეესაბამება ატომს, რომელიც გრაფიკულ ფორმულაში დანომრილია ციფრით „1“ (ნახშირბადატომს), მეორე სვეტი შეესაბამება ატომს, რომელიც გრაფიკულ ფორმულაში დანომრილია ციფრით „2“ (გოგირდატომს) და ა.შ. მატრიცის პირველი სვეტი იწყება ციფრით „6“ – ნახშირბადატომის რიგობრივი ნომრით; შემდეგ მოდის ციფრი „1“, რომელიც აღნიშნავს, რომ ქიმიური ბმა ნახშირბადატომსა და გოგირდატომს შორის ერთმანეთს; შემდეგ – ციფრი „0“, რომელიც აღნიშნავს, რომ „1“ ნახშირბადატომი არ არის შეკავშირებული „3“ წყალბადატომთან; შემდეგ მოდის სამი ციფრი „1“, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ქიმიური ბმები „1“ ნახშირბადატომსა და „4“, „5“, და „6“ წყალბადატომებს შორის ერთმანეთს. ანალოგიურადაა აგებული მატრიცის სხვა სვეტებიც. აღსანიშნავია, რომ რნბ-მატრიცის დეტერმინანტის მნიშვნელობა წარმოადგენს მოლეკულური გრაფის ინვარიანტს – იგი არაა დამოკიდებული მოლეკულაში ატომების ნუმერაციისაგან.

გამოთვლების გამარტივების მიზნით ხშირად არ ითვალისწინებენ მოლეკულაში შემავალ წყალბადატომებს (ე.ი. იხილავენ ე.წ. მოლეკულის



ჩონჩხს). ქვემოთ მოყვანილია მეთანთიოლის მოლეკულური ჩონჩხი და შესაბამისი მოდერნიზებული რნბ-მატრიცა (ე.წ. ფსევდო რნბ-მატრიცა):

$$C^1-S^2 \quad \left\| \begin{array}{cc} 3 & 1 \\ 1 & 15 \end{array} \right\| \quad (2)$$


მატრიცა (2) მიიღება (1) მატრიცისაგან, თუ (1)-ს მოვაშორებთ წყალბადატომების შესაბამის ელემენტებს, ხოლო დარჩენილი მატრიცის დიაგონალურ წევრებს გამოვაკლებთ იმ წყალბადატომების რიცხვს, რომელიც საწყის მოლეკულაში შესაბამის ატომებთან იყო შეკავშირებული. ამგვარად, (1) მატრიცის დიაგონალზე მდგომ პირველ ელემენტს „6“-ს ვაკლებთ 3-ს, მეორე ელემენტს 16-ს ვაკლებთ 1-ს (მეთანთიოლში გოგირდი ერთ წყალბადატომთანაა მიერთებული). ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ (1) და (2) მატრიცების დეტერმინანტების მნიშვნელობები ერთმანეთის ტოლია: $\Delta(1)=\Delta(2)$.

ცხრილში მოყვანილია თიოლების ჰომოლოგიური რიგის ზოგიერთი წარმომადგენლის შესაბამისი დეტერმინანტების მნიშვნელობები და შესაბამისი S_{298}^0 სიდიდეები [4].

ცხრილი
რნბ-მატრიცების დეტერმინანტების მნიშვნელობები და შესაბამისი
ნაერთების სტანდარტული ენტროპიები

ნაერთი	დეტერმინანტი (Δ)	S_{298}^0
<chem>CH3SH</chem>	44	60.96
<chem>C2H5SH</chem>	162	70.77
<chem>CH3CH2CH2SH</chem>	604	80.40
<chem>CH3CH(SH)CH3</chem>	576	77.51
<chem>CH3CH2CH2CH2SH</chem>	2254	89.68
<chem>CH3CH(CH3)CH2SH</chem>	2166	86.73
<chem>CH3C(CH3)(SH)CH3</chem>	1998	80.79
<chem>CH3CH2CH2CH2CH2SH</chem>	8412	99.28

როგორც ვხედავთ, რნბ-მატრიცების დეტერმინანტის მნიშვნელობები შესაბამისი ნაერთების S_{298}^0 -ის მნიშვნელობათა სიმბატურად იცვლება, უფრო მეტად, $\lg(\Delta) \sim S_{298}^0$ კორელაციის გრაფიკი გამოისახება ფორმულით:



$$S_{298}^0 = 14.25 \lg(\Delta) + 39.41$$

ამასთანავე, კორელაციის კოეფიციენტი r ტოლია $r=0,992$, ე.ი. ადვილი იქნეს ბრწყინვალე კორელაციას. ამგვარად, $\lg(\Delta)$ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ახალი ტოპოლოგიური ინდექსი [3] სტრუქტურა-თვისება კორელაციისათვის თიოლთა ჰომოლოგიურ რიგში.

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კ. ზაქარევის სახელობის სამშენებლო
შეკანისა და სეისმოინჟინერების ინსტიტუტი

(შემოვიდა 21.03.1993)

ОРГАНИЧЕСКАЯ ХИМИЯ

Г.А.Чахтаური, Г.Г.Гамзиани, М.И. Гвердцители

Алгебраическая характеристика тиолов

Р е з ю м е

Рассмотрен метод записи молекул в виде квадратных симметричных матриц, диагональными элементами которых являются порядковые номера атомов химических элементов, входящих в молекулу, недиагональными элементами - кратность химических связей (ПНС-матрицы). Для тиолов найдена линейная корреляция между значениями детерминанта ПНС-матриц и соответствующими значениями стандартной энтропии.

ORGANIC CHEMISTRY

G.Chakhtauri, G.Gamziani, M.Gverdtsiteli

Algebraic Characterization of Thiols


S U M M A R Y

The algebraic method of chemical compounds written in forms of matrix has been elaborated.

Using this method algebraic characterization of thiols have been considered.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *К.Б.Яцимирский*. Применение теории графов в химии. Киев, 1975.
2. *მ. გვერდწითელი*. ორგანულ ნაერთთა ნომენკლატურის პრინციპები. თბილისი, 1983.
3. *გ. გამზიანი, მ. გვერდწითელი*. იზომერიის მოვლენა მათემატიკური ქიმიის თვალთახედვით. თბილისი, 1992.
4. *В.А. Киреев*. Методы практических расчетов в термодинамике химических реакций. М., 1975.



ს.მაზმიშვილი, ა.გოგიშვილი, დ.ცაგარეიშვილი

Mn-O-C სისტემაში ურთიერთქმედების თერმოდინამიკური ანალიზი

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. გველუსიანმა 16.6.1993)

ლითონებისა და მათი შენადნობების, მათ შორის მანგანუმთან ფეროშენადნობების მიღების ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალური პირობების დადგენა შესაძლებელია სისტემის წონასწორული მდგომარეობის სრული თერმოდინამიკური ანალიზის საფუძველზე. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია მანგანუმთან ფეროშენადნობების წარმოებისათვის მეტად მნიშვნელოვანი Mn-O-C სისტემის თერმოდინამიკური მოდელირების შედეგები. ამ მიზნით გამოყენებულია პროგრამული კომპლექსი „ასტრა-4“ [1], რომელსაც საფუძველად უდევს ენტროპიის მაქსიმიზაციის პრინციპი. ეს პროგრამა გვაძლევს ჰეტეროგენული, მრავალფაზიანი, მრავალკომპონენტიანი და მულტიფაზური სისტემების შედგენილობისა და თვისებების რაოდენობრივი მოდელირებისა და პროგნოზირების საშუალებას ქიმიური და ფიზიკური გარდაქმნების გათვალისწინებით. აღნიშნული სისტემა გამოკვლეულია აირადი ფაზის სატმ. (101 კპა) წნევისა და საწყის ნარევეში ნახშირბადის მოლეკლის 0,1 - 2,0 ზღვრებში ცვლილების პირობებში. გამოსაკვლევი სისტემისათვის შერჩეულ იქნა მოდელი - ურთიერთუხსნადი კონდენსირებული კომპონენტები - იდეალური აირადი ფაზა სისტემის მასის მულტიფიკაციის პირობებში.

თანახმად ლიტერატურული მონაცემებისა [2] Mn-C სისტემაში წარმოიქმნება ექვსი კარბიდი: E-ფაზა, $Mn_{23}C_6$, $Mn_{15}C_4$, Mn_3C , Mn_5C_2 და Mn_7C_3 . E-ფაზა ევთექთოიდურად იშლება 1263 K-ზე [2], ხოლო ფაზა Mn_7C_3 დნება კონგრუენტულად 1613 K-ზე [2]. $Mn_{23}C_6$, $Mn_{15}C_4$, Mn_3C და Mn_5C_2 კარბიდები განიცდიან დაშლას შესაბამისად შემდეგ ტემპერატურებზე: 1298K [3] , 1123K [2], 1243K [2] და 1323K [3]. მონაცემები E-ფაზის თერმოდინამიკური თვისებების შესახებ ლიტერატურაში არ არსებობს, ხოლო $Mn_{23}C_6$, $Mn_{15}C_4$ და Mn_5C_2 კარბიდების თერმოდინამიკური კონსტანტების ამჟამად არსებული ბანკი შეიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ხასიათდება საკმარისი სიზუსტით. შედარებით უფრო მისაღებია Mn_3C და Mn_7C_3 ფაზების თერმოდინამიკური სიდიდეების ის მნიშვნელობები, რომლებიც შემოთავაზებულია მოსკოვის მაღალი ტემპერატურების ინსტიტუტის მიერ. აღვნიშნავთ, რომ ხარუმი იაკოკავას [4] ცნობარი, რომელიც გამოცემულია 1988 წელს, შეიცავს თერმოდინამიკურ მონაცემებს მხოლოდ Mn_3C და Mn_7C_3 კარბიდებისათვის.


თერმოდინამიკური მოდელირებისას მხედველობაშია მიღებული შემდეგი კონდენსირებული (Mn, C, MN_3C , Mn_7C_3 , MnO, MnO_2 , Mn_2O_3 , Mn_2O_7 და Mn_3O_4) და აირადი (O , O_2 , CO, CO_2 , C_2O , C_3O_2 , C, C_2 , C_3 , C_4 , C_5 , Mn და MnO) კომპონენტები. აღნიშნული კომპონენტებისათვის ანგარიშებში გამოყენებულია მოსკოვის მაღალი ტემპერატურების ინსტიტუტის საცნობარო მონაცემები მათი თერმოდინამიკური




თვისებების შესახებ, რომლებიც მანგანუმის ოქსიდებისათვის ითვალისწინებს უახლესი კალორიმეტრიული გაზომვების შედეგებს [5].

მანგანუმის ოქსიდების მანგანუმის მული ალდგენის პროცესის თერმოდინამიკური მოდელირება 1000-2500 K ტემპერატურულ ინტერვალში „ასტრა-3“ პროგრამული კომპლექსის გამოყენებით შესრულებულია ნაშრომში [6], რომელშიც მოცემულია წონასწორობისას კომპონენტების შემცველობის (მას.%), კონდენსირებული ფაზების ფარდობის, ლითონური ხსნარების ქიმიური შედგენილობის, მანგანუმის გამოსავლისა და ენერგოდანახარჯების ტემპერატურისაგან დამოკიდებულების გამომსახველი გრაფიკები. აღნიშნული ნაშრომისაგან განსხვავებით მოცემულ სამუშაოში წარმოდგენილია Mn-O-C სისტემაში ურთიერთქმედების პროდუქტების წონასწორობის შედგენილობის განაგარიშების შედეგები იზობარულ-იზოთერმულ პირობებში, კერძოდ, Mn-O-C სისტემის თერმოდინამიკური მოდელირების შედეგები მოცემულია გრაფიკული სახით 1,2,3, და 4 სურათებზე შესაბამისად შემდეგი ტემპერატურებისათვის: 1645K, 1760K, 2000K და 2200K. გრაფიკები აგებულია კოორდინატებში: კონდენსირებული ფაზის კომპონენტების შემცველობა (მას.%) (Y) და აირადი ფაზის კომპონენტების მოცულობითი შემცველობის ლოგარიტმი (Y') და საწყის ნარევი ნახშირბადის შემცველობის ცვლილება (მოლი).

იზოთერმაზე (T=1645K), რომელიც წარმოდგენილია 1 სურათზე, შეიმჩნევა გარდატეხა აირების შედგენილობის გამომსახველ გრაფიკზე იმ წერტილში, რომელიც შეესაბამება ნახშირბადის შემცველობას საწყის კაზში 1,4 მოლის რაოდენობით. ეს აისხნება კონდენსირებული ფაზის შედგენილობის




სურ.1. კონდენსირებული ფაზის კომპონენტების შემცველობის (მას.%, Y) და აირადი ფაზის კომპონენტების მოცულობითი შემცველობის ლოგარიტმის (Y') დამოკიდებულება საწყის ნარევი ნახშირბადის რაოდენობასთან (მოლი) 1645K-ზე.




სურ.2. კონდენსირებული ფაზის კომპონენტების შემცველობის (მას.%, Y) და აირადი ფაზის კომპონენტების მოცულობითი შემცველობის ლოგარიტმის (Y') დამოკიდებულება საწყის ნარევი ნახშირბადის რაოდენობასთან (მოლი) 1760K-ზე.

ცვლილების ექსტრემუმით. კერძოდ, ამ წერტილამდე MnO (j) შემცველობის მდოვრე კლებას თან სდევს მანგანუმის კარბიდის (Mn_7C_3) მდოვრე მატება. ამ წერტილში არსებობს კონდენსირებული ნახშირბადი, მაგრამ კრიტიკული წერტილის შემდეგ შეიმჩნევა მისი წარმოქმნა და მანგანუმის კარბიდის (Mn_7C_3) მასური შემცველობის კლება ურთიერთქმედების პროდუქტების წონასწორულ შედგენილობაში.

მე-2 სურათზე მოცემულია ტემპერატურული ქრილი $T=1760K$ -ზე. მიღებული გრაფიკი ხასიათდება ორი კრიტიკული წერტილით, რომლებიც შეესაბამება ნახშირბადის შემცველობას 1,0 და 1,4 მოლის რაოდენობით. პირველ კრიტიკულ წერტილამდე (1,0 მოლი C) ადგილი აქვს MnO აღდგენას ლითონურ მანგანუმამდე. ამ წერტილის შეესაბამება აგრეთვე მანგანუმის მაქსიმალური გამოსავალი და MnO სრული აღდგენა, რაც იწვევს შესაბამის ცვლილებებს აირადი ფაზის კომპონენტების შემცველობაში. ნახშირბადის მოლების რაოდენობის 1,0-1,4 შუალედში ცვლილებისას შეიმჩნევა ლითონური მანგანუმის დანახშირბადების პროცესი Mn_7C_3 კარბიდის წარმოქმნით. ამ ინტერვალის საზღვარზე (1,4 მოლი C), რომელიც დაკავშირებულია Mn (j) სრულ გაქრობასთან, იწყებს წარმოქმნას თავისუფალი ნახშირბადი კონდენსირებულ მდგომარეობაში. C (j) შემცველობის გაზრდით კლებულობს მანგანუმის კარბიდის შემცველობა წონასწორულ შედგენილობაში. ამ წერტილის შეესაბამება ახალი გარდატეხები აირადი ფაზის შედგენილობის გრაფიკზე.




სურ.3. კონდენსირებული ფაზის კომპონენტების შემცველობის (მას %, Y) და აირადი ფაზის კომპონენტების მოცულობითი შემცველობის ლოგარითმის (Y') დამოკიდებულება საწყის ნარევეში ნახშირბადის რაოდენობასთან (მოლი) 2000K-ზე



სურ.4. კონდენსირებული ფაზის კომპონენტების შემცველობის (მას %, Y) და აირადი ფაზის კომპონენტების მოცულობითი შემცველობის ლოგარითმის (Y') დამოკიდებულება საწყის ნარევეში ნახშირბადის რაოდენობასთან (მოლი) 2200K-ზე.

მე-3 სურათზე ($T=2000K$) შეიმჩნევა ურთიერთქმედების პროდუქტების წონასწორული შედგენილობის ცვლილება. ის არ შეიცავს $Mn > C_3$, ამ იზოთერმისთვის დამახასიათებელია ერთი ექსტრემალური წერტილი, რომელიც შეესაბამება ნახშირბადის შემცველობას 1,0 მოლის რაოდენობით. ამ შემთხვევაში აგრეთვე



ადგილი აქვს MnO ნახშირბადით აღდგენის პროცესს და შემდგომ ლითონური მანგანუმისა და ნახშირბადის ერთდროულ არსებობას. იმის გამტარუნარიანობა კომპონენტი მეტად აქტიურია ენგბადის მიმართ, ამ კრიტიკულ წერტილში შეესაბამება მნიშვნელოვანი ცვლილებები აირადი ფაზის შედგენილობაში. ტემპერატურის გაზრდით ხდება ურთიერთქმედების პროდუქტების წონასწორული შედგენილობის შენარჩუნება, მაგრამ ადგილი აქვს მასში ლითონური მანგანუმის მასური შემცველობის მკვეთრად გამოხატულ ცვლილებას. სურ. 4 ($T=2200\text{K}$) გვიჩვენებს კონდენსირებული მანგანუმის შემცველობის კლებას ერთდროულად აირად მდგომარეობაში მისი რაოდენობის გადიდებით. ეს სურათი შენარჩუნებულია თითქმის მანგანუმის დუღილის ტემპერატურის მიღწევამდე, რომლის ზევითაც კონდენსირებული მანგანუმი წონასწორულ შედგენილობაში არ ფიგურირებს.

ჩატარებული თერმოდინამიკური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მანგანუმის ოქსიდის ნახშირბადთერმული აღდგენის პროცესის ოპტიმალური პირობებია: ტემპერატურა- $1873-2023\text{K}$, საწყის ნარევი ნახშირბადის რაოდენობა $-1,0$ მოლი. ტემპერატურის ზრდა $T=2073\text{K}$ -ის ზევით იწვევს მანგანუმის გამოსავლის შემცირებას, რადგანაც ამ ტემპერატურაზე მანგანუმის ორთქლის წნევა უკვე აღწევს საგრძნობ სიდიდეს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

(შემოვიდა 30.6.1993)

ФИЗИЧЕСКАЯ ХИМИЯ

С.М.Мазмишвили, А.Р.Гогішвили, Д.Ш.Цагареишвили

Термодинамический анализ взаимодействия в системе Mn-O-C

Резюме

Приведены результаты полного термодинамического анализа взаимодействия в системе Mn-O-C. Расчет равновесного состава продуктов взаимодействия выполнен с использованием программного комплекса "Астра-4" в изобарно-изотермических условиях при температурах 1645 К, 1760 К, 2000 К и 2200 К и давлении газовой фазы 1 атм. Установлены оптимальные условия процесса углеродо-термического восстановления оксида марганца: температура - 1873-2023 К, количество углерода в исходной смеси - 1 моль.

PHYSICAL CHEMISTRY

S. Mazmishvili, A. Gogishvili, D. Tsagareishvili


Thermodynamic Analysis of Interaction in the Mn-O-C System

Summary

The results of complete thermodynamic analysis of interaction in the Mn-O-C system are adduced. Calculation of equilibrium composition of products of interaction has been conducted on the isobaric-isothermal conditions at 1645K, 1760K, 2000K and 2200K for pressure 1 by using the program "ASTRA-4". The optimal conditions of manganese oxide reduction with carbon are established: temperatures - 1873-2023K, amount of carbon in the initial mixture - 1 mol.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *Б.Г.Трусов*. Моделирование химических и фазовых равновесий при высоких температурах. М., 1989.
2. *О.М.Барабаш*, Ю.Н. Коваль. Кристаллическая структура металлов и сплавов. Киев, 1986.
3. Термические константы веществ. Под ред. В.П.Глушко, вып. 7. М., 1974.
4. *Yokokawa Harumi*. J. Nat. Chem. Lab., **83**, 1988, 27.
5. *Robic Richard A., Hemingway Bruce S.* J. Chem. Thermodyn., **17**, 2, 1985, 165-181.
6. *Г.Г.Гвелесиани, Д.И.Багдавадзе, Д.Ш.Цагареишвили, Д.М.Ланчава, Л.В.Цамалаидзе*. Сообщ. АН ГССР, **135**, 1, 1989, 137-140.



შპს 661.98.097.332

ფიზიკური ქიმია

გ.ჩივაძე (საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), კ.მარკოზაშვილი

მეტალური კატალიზატორის სარჩულის ბუნების გავლენა მზესუმზირას ზეთის ჰიდრირების რეაქციაზე

ამჟამად მყარი ცხიმების მისაღებად მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება თხევადი ცხიმების ჰიდრირება ავტოკლავებში წვრილმარცვლოვანი ნიკელ-სპილენძის კატალიზატორების მონაწილეობით სხვადასხვა სარჩულეზე. ამ პროცესს ახასიათებს კატალიზატორის მუშაობის მცირე დრო და რაც მთავარია ტექნოლოგიური სქემა მოიცავს ძალიან შრომატევად და ძვირადღირებულ ფილტრაციის საფეხურს, რომლის დროსაც კატალიზატორი სცილდება სამიზნე პროდუქტს. ამ უარყოფითი ფაქტორების თავიდან აცილება შესაძლებელია სტაციონარული კატალიზატორების შექმნითა და უწყვეტი მეთოდის გამოყენებით.


სხვადასხვა ტიპის კატალიზატორებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს მყარ სარჩულეზე დაფენილ კატალიზატორებს. ასეთი სისტემების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მიიღება მაღალდისპერსიული აქტიური ფაზა, რაც უზრუნველყოფს კატალიზატორის მაღალ აქტივობას.

წინა წლებში [1] ჩვენ მიერ თხევადი ცხიმების ჰიდრირების რეაქციაში შესწავლილი იყო გუმბრინზე დაფენილი მეტალური კატალიზატორები.

კატალიზატორის თვისებები გარკვეულად არის დამოკიდებული სარჩულის ქიმიურ შემადგენლობაზე, მის ბუნებასა და აგებულებაზე. აქედან გამომდინარე, პერსპექტიულად უნდა ჩაითვალოს საქართველოში ფართოდ წარმოდგენილი სხვადასხვა მაღალხარისხიანი მონტმორილონიტური ტიპის ალუმოსილიკატებისა და ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება და სისტემატური კვლევა მეტალური კატალიზატორების სარჩულეზად თხევადი ცხიმების ჰიდრირების რეაქციაში.

ჩვენ შემთხვევაში ჰიდრირების რეაქციისათვის კატალიზატორები მზადდება ასკანთიხის, დიატომიტის, გუმბრინისა და კლინოპტილოლითის საფუძველზე, ნიკელისა და ნიკელ-სპილენძის შემცველი ნიტრატებიდან გაქვნივის მეთოდით. აღნიშნული სარჩულეებიდან კლინოპტილოლითი გამოიყენებოდა მარცვლების ზომით 3 მმ, ხოლო სხვა დანარჩენი ნიმუშები იფქვებოდა, იქვნიებოდა გარკვეული რაოდენობა მარილის წყალხსნარით, მზადდებოდა ცომისებრი მასა და ხდებოდა გრანულების მომზადება ზომით 3 x 4 მმ. მიღებული კატალიზატორების დახასიათება წარმოდგენილია 1 ცხრილში.

კატალიზატორის გრანულები თავსდებოდა უქანგავი ფოლადის რეაქტორში დიამეტრით 10 მმ, სიმაღლით 100 მმ, აღდგენა ხდებოდა ელექტროლიზური წყალბადის ნაკადში. ნიკელის კატალიზატორის აღდგენა ხორციელდებოდა 350, ხოლო სხვა დანარჩენი ნიმუშებისა - 240⁰-ზე. ზეთის ჰიდრირება ტარდებოდა ნაკადური მეთოდით, რომლის მიწოდება ხდებოდა რეაქტორის ქვედა ნაწილში წყალბადთან ერთად.



თხევადი ცხიმების ჰიდრირებისას მათში არსებული უნაჭერის კავშირების წყალბადით გაჭერების რეაქციის სიჩქარე და მიღებული პროდუქტების შემადგენელი დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: კატალიზატორის ბუნების, უნაჭერის ტემპერატურაზე, წყალბადის წნევაზე, ზეთის მიწოდების სიჩქარეზე. ამიტომ ჩვენ მიერ შესწავლილი იყო აღნიშნული ფაქტორების გავლენა მზესუმზირას ზეთის ჰიდრირების რეაქციის მიმდინარეობაზე.

ტემპერატურის გავლენა მზესუმზირას ზეთის ჰიდრირების პროცესზე მოყვანილია მე-2 ცხრილში.


როგორც 2 ცხრილიდან ჩანს, შესწავლილი კატალიზატორებიდან ყველაზე მაღალი აქტივობით გამოირჩევა კატალიზატორი 3, ხოლო სხვა დანარჩენ ნიმუშებს შორის კატალიზატორი 2 და 4 თითქმის ერთნაირი აქტივობით ხასიათდებიან. ჰიდრირების ტემპერატურის აწევით სალომასის სიმაგრე მატულობს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უფრო ღრმად მიდის წყალბადის მიერთების პროცესი, რაზედაც გარკვეულ გავლენას ახდენს ტემპერატურის აწევა, რის გამოც მცირდება ზეთის სიბლანტე და შედარებით ადვილდება წყალბადის მიღწევა კატალიზატორის აქტიურ ზედაპირთან.

რაც შეეხება კატალიზატორ 6, რომელიც მომზადებულია კლინობტილოლითის საფუძველზე, მისი აქტივობა გაცილებით დაბალია, რაც განპირობებულია კლინობტილოლითში ფორების ზომის სიმცირით, რომლის დიამეტრი არ აღემატება 5Å. ეს კი ხელს უშლის მორეაგირე მოლეკულებს, მათი დიდი ზომის გამო, ვერ მიაღწიოს შიგა აქტიურ ცენტრებამდე. აღნიშნულ კატალიზატორზე ჰიდრირების რეაქცია მიმდინარეობს მხოლოდ გარე ზედაპირზე, რომელიც შეადგენს მთელი ზედაპირის მხოლოდ 10 %.


ცხრილი 1
გამოყენებული კატალიზატორების დახასიათება

კატალიზატორის №	ლითონის შემცველობა კატალიზატორში, % მასს	გამოყენებული სარჩულეები	გამოყენებული მარილები	მექანიკური სიმტკიცე მ/სმ	კატალიზატორის ხვედრითი ზედაპირი, მ ² /გ
1	N ₁ -6,0	ასკანთიხა	N ₁ (NO ₃) ₂ ·6H ₂ O	125	42
2	N ₁ -6,0, Cu-1,9	ასკანთიხა	N ₁ (NO ₃) ₂ ·6H ₂ O Cu(NO ₃) ₂ ·3H ₂ O	123	40
3	N ₁ -6,0, Cu-2,0, Ru-0,2	ასკანთიხა	N ₁ (NO ₃) ₂ ·6H ₂ O Cu(NO ₃) ₂ ·3H ₂ O RuCl ₄ ·5H ₂ O	121	40
4	N ₁ -6,0, Cu-1,9	გუმბრინი	N ₁ (NO ₃) ₂ ·6H ₂ O Cu(NO ₃) ₂ ·3H ₂ O	125	41
5	N ₁ -6,0, Cu-2,0	დიატომიტი	N ₁ (NO ₃) ₂ ·6H ₂ O Cu(NO ₃) ₂ ·3H ₂ O	110	31
6	N ₁ -6,0, Cu-1,9	კლინობტილოლითი	N ₁ (NO ₃) ₂ ·6H ₂ O Cu(NO ₃) ₂ ·3H ₂ O	190	-

რეაქციის მიმდინარეობაზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, რომლის შედეგები წარმოდგენილია სურათზე 1. როგორც სურათიდან ჩანს, ტემპერატურის აწევით 160-დან 200°C-მდე კატალიზატორის შემთხვევაში იზრდება რეაქციის სიჩქარე. ყველაზე მაღალი სიჩქარით ხასიათდება პროცესი კატალიზატორი 3 გამოყენებისას.




სურ.1. ჰიდრირების რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება ტემპერატურაზე სხვადასხვა კატალიზატორებზე
 $P_{H_2} = 1 \text{ ატმ.}$



სურ.2. იოდის რიცხვის დამოკიდებულება ზეთის კონტაქტის დროზე კატალიზატორთან $T=200^\circ\text{C}$,
 $P_{H_2} = 1 \text{ ატმ.}$

შემდგომში შესწავლილი იყო ზეთის მიწოდების მოცულობითი სიჩქარის გავლენა ჰიდრირების სიღრმეზე. მიღებული შედეგების საფუძველზე აგებული იყო იოდის რიცხვის დამოკიდებულების გავლენა ზეთის კონტაქტის დროისა კატალიზატორთან (სურ.2). როგორც მოყვანილი შედეგებიდან ჩანს, აღნიშნული დამოკიდებულება სწორხაზოვან ხასიათს ატარებს. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ პირობებში ჰიდრირების რეაქცია ნულოვანი რიგისაა უნაჭერი ნაერთების მიმართ. თუ ვისარგებლებთ ნულოვანი რიგის განტოლებით შესწავლილი ტემპერატურის



სურ.3. ჰიდრირების რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება შებრუნებულ ტემპერატურასთან სხვადასხვა კატალიზატორებზე.

ინტერვალისათვის და ავაგებთ რეაქციის სიჩქარის ლოგარითმის დამოკიდებულებას ტემპერატურის შებრუნებულ სიდიდესთან (სურ. 3), დავინახავთ, რომ შესწავლილ კატალიზატორებზე რეაქციის სიჩქარე მკვეთრად მატულობს და $\lg W$ დამოკიდებულება $1/T$ აღიწერება არენიუსის განტოლებით. ეს დამოკიდებულება სწორხაზოვანია, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენი ცდის პირობებში რეაქცია კინეტიკურ არეში მიმდინარეობს.


რეაქციის უბნის დასადგენად ოპტიმალურ პირობებში შევისწავლეთ მზესუამირას ზეთის ჰიდრირების რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება კატალიზატორის რაოდენობასა (25-100 სმ³) და გრანულის

მზესუმზირას ზეთის ჰიდრირება სხვადასხვა კატალიზატორებზე 1 ატმ, 200 მლ/წუთში

კატალიზატორის №	ცდის ტემპ., °C	ზეთის მინოდების სიჩქარე, საათი	ოდის რიცხვი	სალომასის სიმძვრე 15°C, გ/სმ	სალომასის ლლობის ტემპ. °C	მთავიანობის რიცხვი მგ/KOH	ცხიმოვანი მთავების რაოდენობა, %		
							ლინოლის	ოლეინის	ნაჭერი
1	180	0,4	74,0	180	33,0	1,1	26,5	46,0	27,5
	200	0,4	70,0	220	35,5	1,2	21,5	49,0	29,5
2	160	0,4	79,0	175	32,0	0,9	25,0	46,6	28,4
	180	0,4	75,0	185	33,5	0,9	23,0	51,0	26,0
	200	0,4	70,5	220	35,0	1,0	19,5	56,0	24,5
3	160	0,4	78,0	180	33,0	0,9	24,3	47,0	28,7
	180	0,4	72,5	210	34,0	1,0	20,8	53,4	25,9
	200	0,4	68,5	230	35,0	1,1	18,3	59,8	21,9
4	160	0,4	80,0	175	33,0	0,9	25,3	46,3	28,4
	180	0,4	75,0	190	34,0	1,0	23,0	51,0	26,0
	200	0,4	71,0	220	35,0	1,1	20,0	56,0	24,0
5	160	0,3	81,0	170	33,0	0,9	27,0	45,0	28,0
	180	0,3	76,0	185	34,0	1,0	25,5	48,0	26,5
	200	0,3	71,0	200	34,0	1,0	21,0	54,0	25,0
6 საწყისი მზესუმზირას ზეთი	180	0,2	86,0	130	30,5	0,6	29,4	48,6	22,0
	200	0,2	80,5 129-130	170	31,0	0,7 0,5	28,1 63,2	52,3 22,4	20,0 14,4



ზომებზე (0,5-4 მმ). ნაჩვენებია, რომ ამ დამოკიდებულებებს აქვთ უნივერსალური ხასიათი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული რეაქცია კინეტიკურად მიმდინარეობს და გამოკვლეული ცვლილებები არ მოქმედებს მის მიმდინარეობაზე.



სურ.4. ჰიდრირების რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება წყალბადის წნევისთან სხვადასხვა კატალიზატორებზე $T=200^{\circ}\text{C}$, $V_{\text{გაზ}}=0,4$ სთ.

ჰიდრირების რეაქციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წყალბადის წნევა. ამიტომ ჩვენს მიერ შესწავლილი იყო წყალბადის წნევის გავლენა რეაქციის სიჩქარეზე (სურ. 4). როგორც სურათიდან ჩანს, წნევის გაზრდა 1-დან 9 ატმ-მდე სწორხაზოვან დამოკიდებულებაშია რეაქციის სიჩქარესთან. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ჰიდრირების რეაქცია წყალბადის მიმართ პირველი რიგისაა. აღნიშნული კანონზომიერება ადრეც იყო ნაჩვენები რიგი ავტორების მიერ [2,3]. წნევის გაზრდა

ცხრილი 3



ტექნიკური მყარი ცხიმების მიღება კატალიზატორი 2

ცდის ტემპ., C	წყალბადის წნევა ატმ	ზეთის მოწოდების სიჩქარე, საითი	იოდის რიცხვი	მყარი ცხიმების ლდობის ტემპ., C	ცხიმოვანი მჟავების ტიტრი	მჟავიანობის რიცხვი მგ/KOH
200	2	0,20	63	41,7	40,5	1,3
	3	0,20	60	42,0	40,0	1,5
	3	0,15	54	46,0	44,0	1,6
220	3	0,18	52	48,5		1,7


იწვევს რეაქციის სიჩქარის მატებას, მაგრამ ამასთან ერთად იცვლება მიღებული პროდუქტის მახასიათებლები (სურ.5).

წყალბადის წნევის აწევით სალომასში მცირდება ტრანს-მჟავების რაოდენობა 39-დან 25-მდე, რაც იწვევს სალომასის სიმაგრის შემცირებას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ თხევადი ცხიმების ჰიდრირებისათვის ოპტიმალური წყალბადის წნევა შეადგენს 1-3 ატმ., ხოლო მისი შემდგომი გაზრდა აუარესებს საკვები სალომასის მახასიათებლებს.

რეაქციის ერთ-ერთ დამახასიათებელ სიდიდეს წარმოადგენს მისი სელექტიურობა. მიღებული ცდის შედეგების მიხედვით მარკმანის მეთოდის გამოყენებით [4] გამოთვლილი იყო ჰიდრირების რეაქციის სელექტიურობა. როგორც ნ სურათიდან ჩანს, ტემპერატურის აწევით იზრდება სელექტიურობა. როგორც ცნობილია [5], ეს დაკავშირებულია სუსტად ბმული წყალბადის დესორბციასა და ძლიერად დაკავშირებული წყალბადის მოლეკულის აქტივაციის სიჩქარის ზრდასთან, რომლითაც ჰიდრირდება ოლეინის მჟავას ტრიგლიცერიდი. მაგალითად,



სურ.5. სალომასის სიმაგრისა და ტრანს-მეთილების რაოდენობის დამოკიდებულება წყალბადის წნევისთან, კატ. 2, $T = 200^{\circ}\text{C}$, $V_{\text{ჰეიის}} = 0,4 \text{ სთ}^{-1}$.



სურ.6. პროცესის სელექტიურობის დამოკიდებულება ჰიდრირების ტემპერატურაზე სხვადასხვა კატალიზატორების შემთხვევაში $P_{H_2} = 1 \text{ ატმ}$, $V_{\text{ჰეიის}} = 0,4 \text{ სთ}^{-1}$.

კატალიზატორი 2-ის გამოყენების შემთხვევაში ტემპერატურის აწევით $160-200^{\circ}\text{C}$ -მდე, მიღებულ სალომასში ოლეინის მეთვას რაოდენობა მატულობს 46-დან 56-მდე, ხოლო ნაჭერი მეთვების ცვლილება უმნიშვნელოა.

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ გამოყენებული კატალიზატორები 1-4 იძლევა საშუალებას პროცესი წარმართოს უწყვეტ ნაკადში, ხოლო მიღებული სალომასები არ საჭიროებენ ფილტრაციას. მიღებული პროდუქტები თავისი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლებით სრულიად შეესაბამისებიან მოთხოვნებს საკვებ სალომასზე.

გარდა საკვები დანიშნულების სალომასის მიღებისა, ინტერესს იმსახურებს ტექნიკური დანიშნულების მყარი ცხიმების მიღება. ამ მიზნით ჩვენ მიერ შესწავლილი იყო ასეთი პროდუქტის მიღების შესაძლებლობა, რომლის შედეგები მოყვანილია 3 ცხრილში.

როგორც 3 ცხრილიდან ჩანს, მიღებული პროდუქტები პასუხობენ მოთხოვნებს ტექნიკურ მყარ ცხიმებზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ტექნიკური ცხიმების მისაღებად ზეთის მიწოდების მოცულობითი სიჩქარე გაცილებით ნაკლებია, რის გამოც დანადგარის წარმადობა შედარებით მცირედება.

აგარული უნივერსიტეტი

(შემოვიდა 20.12.1993)

Г.О. Чивадзе (член-корр. АН Грузии), К.В. Маркозашвили

Влияние природы носителя металлических катализаторов в реакции гидрирования подсолнечного масла

Резюме

В качестве носителей никель- и никель-медных катализаторов исследованы в реакции гидрирования подсолнечного масла природные алюмосиликаты Грузии – асканглина, гумбрин, диатомит и клиноптилолит. Изучено влияние различных параметров процесса: температура гидрирования, объемная скорость подачи масла и давление водорода, с целью получения пищевого саломаса и твердых технических жиров.

Исследована зависимость скорости реакции гидрирования от температуры, давления водорода и скорости подачи масла.

PHYSICAL CHEMISTRY

G. Chivadze, K. Markozashvili

Influence of a Nature of Support of the Metal Catalysts in Hydration of Sunflower Oil

Summary

Natural aluminosilicates of Georgian deposits – askana clay, gumbrine, diatomite and clinoptilolite were studied as supports of nickel and nickel-copper catalysts in hydration of sunflower oil. The effect of various parameters of the process – hydration temperature, volume velocity of oil delivery and hydrogen pressure was studied with the purpose to obtain the food salomass and solid technical fats.

The dependence of the reaction rate on temperature, hydrogen pressure and velocity of oil delivering was studied.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *Г.О. Чивадзе, Х.И. Арешидзе, З.В. Кобаладзе.* ЖПХ, **48**, 2, 1975, 293.
2. *Д.В. Сокольский, Н.А. Нечаев, Ф.Г. Голодов.* Масло-жировая пром., **1**, 1968, 15.
3. *Х.И. Арешидзе, Г.О. Чивадзе, Д.В. Сокольский.* Масло-жировая пром., **3**, 1973, 20.
4. *А. Маркман, А.И. Глушенкова, Г.А. Преображенская.* Масло-жировая пром., **1**, 1967, 16.
5. *Д.В. Сокольский, К.А. Жубанов.* Гидрирование растительных жиров. Алма-Ата, 1972, 180.

Р.К.Кварацхелия, Е.Р.Кварацхелия

ტექნოლოგიური პროცესების ექსპერიმენტული შესწავლისათვის აუცილებელია გაედრმავოთ კვლევის თანამედროვე მეთოდები, შედეგების დამუშავებისას. ამასთანავე, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ სტატისტიკური ანალიზის მათემატიკური აპარატი. ამავე დროს, აუცილებელია კვლევის დამუშავებული შედეგების ოპერატიული გამოყვანა გასაგები სახით, რათა შესაძლებლობა გვქონდეს დროულად ვიმოქმედოთ ექსპერიმენტის მსვლელობაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია ექსპერიმენტული კვლევის ტექნოლოგიის გარდაქმნა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენებით ექსპერიმენტული კვლევის ყველა სტადიაზე.

ელექტროგლინვის ექსპერიმენტული კვლევის ავტომატიზაციის სისტემა (მძსს) საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ პროცესის ტექნოლოგიური პარამეტრების გადამწოდების ელექტრული სიგნალების შეკრება, დამუშავება და შემდგომი ანალიზი ექსპერიმენტის მიმდინარეობის პარალელურად.


ელექტროგლინვის მძსს შემადგენლობაში შედიან შემდეგი ტექნიკური კომპონენტები:

1. ანალოგური სიგნალების შეკრებისა და გარდაქმნის ქვესისტემა;
2. კრეიტთშორისი კავშირის ციფრული ქვესისტემა;
3. გრაფიკული ინფორმაციის გამოსახვის ქვესისტემა;
4. მიკრო მბმ „მერა-60“

განსახილველი მოწყობილობა წარმოადგენს მარტივი ფუნქციონალური კვანძების—მოდულების სისტემას, რომლებიც შესაძლებელია გაერთიანდნენ გარკვეული სქემის მიხედვით.


ელექტროგლინვის ექსპერიმენტული კვლევის ავტომატური სისტემის ბლოკქემა მოცემულია 1 სურათზე.

ანალოგური სიგნალების შეკრებისა და გარდაქმნის ქვესისტემა უზრუნველყოფს შემავალი სიგნალების მულტიპლექსირებასა და ანალოგურ-ციფრულ გარდაქმნას. აღნიშნული გარდაქმნის მოდული აცზ-12 უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პარამეტრების გადამწოდებიდან შემოსული ძაბვის ორობით კოდში გადაყვანას და გამოიყენება მონაცემების შეკრებისა და დამუშავების მაგისტრალურ-მოდულურ



სისტემაში. შემაჯავლი დიფერენციალური ძაბვის ცვლილების დიაპაზონი ± 3 -ის ფარგლებშია. მინიმალური რიგის ფასი $2,5 \times 10^{-3}$ ვოლტია. შემაჯავლი უნდა იქნას $10 \times 10^6 \Omega$, ხოლო შემაჯავლი ელექტროდენის სიდიდე 0,5 მიკროამპერით. გარდაქმნის დრო არ აღემატება 50 მკწმ-ს, ხოლო გარდაქმნის სიხშირე არანაკლებ 14 კგც-ია. ამ დროს ცდომილება არ აღემატება $\pm 6 \times 10^{-3}$ ვ-ს

მონაცემების მიმღებ-გადამცემი მოდული გამოიყენება გამზომ გამომთვლელ კომპლექსებში, როდესაც სისტემა და გამოსაკვლევი ობიექტი საგრძნობ მანძილებზეა ერთმანეთისაგან დაშორებული.



სურ.1 ელექტროგლინვის ექსპერიმენტული კვლევის ავტომატური სისტემის ბლოკ-სქემა.

ორპოლარული ფორმის სიგნალების გადაცემის სიჩქარე სხვადასხვა სახის კაბელებისათვის სხვადასხვაა, მაგალითად PK-75-11 ტიპის კაბელისათვის იგი $1,25 \times 10^6$ ბიტი/წმ-ის ტოლია, ხოლო TF-07 ტიპის კაბელისათვის - $0,4 \times 10^6$ ბიტი/წმ. კავშირის ხაზში გადასაცემი სიტყვის სიგრძე - 20 ორობითი თანრიგის რიგისაა. კვების წყაროს მოთხოვნილი სიმძლავრე 12 ვატია.

ნახევარგამტარული მულტიპლექსორი ემსახურება ანალოგური სიგნალების ჭგუფის გადართვას. ანალოგური სიგნალების შესასვლელი 32-არხიანია, ხოლო დიფერენცირებული სიგნალებისათვის 16-არხიანი. სიგნალის ამპლიტუდა 10ვ-ია. დატვირთვის სრული წინაღობა $10 \times 10^6 \Omega$, გადართვის ხანგრძლივობა 3მკწმ.

გრაფიკული ინფორმაციის წარმოსახვის ქვესისტემა უზრუნველყოფს გრაფიკული გამოსახულების ფორმირებას ფერადეკრანიან მონიტორზე. გრაფიკული ინფორმაციის ქვესისტემა ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით:

-რასტრის ფორმატი 256x256 წერტილია;

-ფერთა რაოდენობა - 8;

-გრაფიკული სისტემა საშუალებას იძლევა გამოვიყვანოთ ეკრანზე წერტილი, ვექტორი, მართკუთხედი, სიმბოლოები, ფონი, გამოსახულების ან ზოლის დაძვრა.

ამ ქვესისტემის მართვა ხორციელდება მზმ-ის პროგრამის საშუალებით.

მანორმირებელი გამძლიერებლები უზრუნველყოფენ ექსპერიმენტული მოწყობილობის გადამწოდებისა და პირველადი გარდამსახების დაბალი დონის

სიგნალების გაძლიერებას. სიგნალების არხების რაოდენობა 24-ია, გაძლიერების კოეფიციენტი 10-100.

მართვის მოდულის საშუალებით ხორციელდება ავტომატური დატვირთვა-
რეჟიმების რეალიზაცია. ოპერატიული დამახსოვრებელი მოწყობილობა
უზრუნველყოფს ავტო-დან მიღებული ინფორმაციის დროებით შენახვას, მისი
ტევადობა 20 სიტყვაა. ოპერატიული დამახსოვრებელი მოწყობილობის (ოლმ)
სიტყვის თანრიგი ტოლია 16-ის.

კრეიტის კონტროლერი ემსახურება მზმ-დან კრეიტის მაგისტრალის მართვას და
მონაცემების ფორმირებას მზმ-ში გადასატანად.

ექსპერიმენტის ავტომატიზაციის სისტემის პროგრამა უზრუნველყოფს შემდეგი
ფუნქციების რეალიზაციას:

1. ექსპერიმენტის შერჩეულ რეჟიმში მუშაობას;
2. ინფორმაციის შეკრების მართვის უზრუნველყოფას;
3. ტექნოლოგიური პარამეტრების გადამწოდებიდან ინფორმაციის შეკრებას, მის
წინასწარ დამუშავებას და ერთნაირი ტიპის ცდების მონაცემების განლაგებას
მატრიცების სახით;
4. ექსპერიმენტის შედეგების დამუშავებას მათემატიკური სტატისტიკის
მეთოდებით;
5. ტექნოლოგიური რეჟიმების დამახასიათებელი შეკვეთილი გრაფიკული
დამოკიდებულებების დისპლეიზე გამოყვანას.

მოცემული ექსპერიმენტის გაწყობის პროგრამა საშუალებას იძლევა
ექსპერიმენტის მსვლელობისას ვცვალოთ გამოსაკითხი გადამწოდების რაოდენობა და
გამოკითხვის სიხშირე.


ინფორმაციის შეკრების მართვის პროგრამა მუშაობას იწყებს „სტარტ“ სიგნალის
მიწოდებისას და წინასწარ მოცემული სიხშირით აწარმოებს შეკრების ქვესისტემიდან
ინფორმაციის შეყვანას, ანალოგიური სიგნალების გარდაქმნას და კრეიტთშორის
ციფრულ კავშირს „სდექ“ ბრძანების მიცემამდე ან ექსპერიმენტის მაქსიმალური
დასაშვები დროის გასვლამდე.

ექსპერიმენტის შესახებ შეკრებილი ინფორმაციის წინასწარი დამუშავების
პროგრამა მუშაობს შემდეგნაირად. პროგრამა გაიშვება ექსპერიმენტის გაშვებასთან
ერთად. ყოველი ერთწამიანი ინტერვალის შემდეგ პროგრამა ყოველი გამოსაკვლევი
პარამეტრისათვის ახორციელებს გარდამავალი რეჟიმის დამთავრებამდე
გამოკვლევას. მიღებულია, რომ გარდამავალი რეჟიმი დამთავრებულად ჩაითვალოს
თუ სრულდება შემდეგი პირობა:

$$\frac{a_K^{(j)} - a_i^{(j)}}{a_K^{(j)}} < a,$$

სადაც $a_i^{(j)}$ - განსახილველი ერთწამიანი ინტერვალის დასაწყისში j -ური გადამწო-
დიდან მიღებული ინფორმაცია; $a_K^{(j)}$ - იგივე ინფორმაცია განსახილველი ერთწა-
მიანი ინტერვალის ბოლოს; a - პარამეტრების ფარდობითი გადახრის დაკვეთილი
სიდიდეა.

გარდამავალ რეჟიმში ხდება ყველა გადამწოდიდან მიღებული ინფორმაციის
დაგროვება. დამყარებულ რეჟიმში პროგრამა უზრუნველყოფს თითოეული
გადამწოდიდან ერთწამიანი ინტერვალში მიღებული ინფორმაციის საშუალო



მნიშვნელობის დამახსოვრებას. ამასთანავე, პროგრამა უზრუნველყოფს დროს ფიქსირებას.

გადამწოდებიდან მიღებული ინფორმაცია ედრება ნულოვან მნიშვნელობას სანამ სიგნალი ნულის ტოლია, ინფორმაცია მანქანაში არ შედის. როგორც კი გადამწოდიდან მოსული ინფორმაცია მიიღებს ნულისაგან განსხვავებულ სიდიდეს, პროგრამა იწყებს მონაცემების დამახსოვრებას და ექსპერიმენტის ციკლის დათავრების შემდეგ დახსომებულ ინფორმაციას გადაწერს დისკეტზე.

შედეგების სტატისტიკური დამუშავება მოიცავს: ექსპერიმენტის პარამეტრების იმ რიცხვითი მახასიათებლების შეფასებას, რომლებიც განიხილება როგორც შემთხვევითი სიდიდეები; კორელაციის კოეფიციენტების შეფასებას და რეგრესიული მოდელის აგებას.

იგულისხმება, რომ ცდები, რომელთაგანაც შედგება ექსპერიმენტი, პარალელურ-ნი არიან, ე.ი. მიმდინარეობენ ერთნაირ რეჟიმში ისე, რომ სრულდება შემდეგ პირობები:

1. პარამეტრების გაზომვის ცდომილება უსასრულოდ მცირეა;

2. ცდომილება ემორჩილება განაწილების ნორმალურ კანონს ნულის ტოლი მათემატიკური მოლოდინით და მუდმივი დისპერსიით, რომელიც პარამეტრის სიდიდეზე არაა დამოკიდებული;

3. სხვადასხვა დაკვირვებების ცდომილებების მნიშვნელობები არ კორელირდებიან, ე.ი. $r(e_i, e_j) = 0$, როცა $i \neq j$

სხვადასხვა ცდებისას მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები მოწმდება ერთგვაროვნებაზე მონაცემების რაოდენობის მიხედვით. მათი რაოდენობა ყველა ექსპერიმენტში ტოლი უნდა იყოს. ეტალონად აიღება პირველი ცდა, რომელსაც ოპერატორი უჩვენებს პროგრამის მუშაობის პროცესში. ყველა ცდა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოყვანილ ერთგვაროვნების კრიტერიუმს, შემდეგი განხილვიდან იხსნება.

პირობების მატრიცის დახმარებით, რომელიც ედრება ექსპერიმენტის მონაცემებს (პირობების მატრიცა შეჰყავს ოპერატორს), ხორციელდება „უხეში“ შედეგების დამუშავება. პროგრამა აგდებს ასეთ სიდიდეებს და ქმნის დაკვირვებათა ახალ მატრიცას, რომლის მიმართაც მიმდინარეობს შემდეგი გათვლები. კერძოდ, ყოველი პარამეტრისათვის გაითვლება პარამეტრების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, აგრეთვე ხდება მათემატიკური მოლოდინისა და საშუალო კვადრატული გადახრის შეფასება. ამის შემდეგ პროგრამა განსახილველი ცდების სერიისათვის გამოითვლის კორელაციის კოეფიციენტებს წყვილ-წყვილად ყველა პარამეტრის შორის.

რეგრესიული დამოკიდებულებების ასაგებად პროგრამაში შეტანილია მრავალ-ფაქტორიანი პოლინომიალური მოდელი. რეგრესიის უცნობი კოეფიციენტები განისაზღვრება რეგრესიული მოდელით მიღებული მნიშვნელობებისაგან პარამეტრების გაზომილი მნიშვნელობების გადახრის უმცირესი კვადრატების მეთოდით. ამ დრომ მიღებული წრფივი განტოლებების სისტემის ამოხსნა ხორციელდება გაუსის მეთოდით. შემდეგ პროგრამა ახორციელებს მიღებული რეგრესიის კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელობის შეფასებას და მათ გადაანგარიშებას, რის შემდეგაც განსაზღვრავს რეგრესიის კოეფიციენტების ნდობის ინტერვალს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ფ.თავაძის სახ. მეტალურგიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 11.10.1993)

T.Г.Намичеишвили

Автоматизированная система экспериментального исследования процесса электропрокатки

Резюме

Рассмотрены основные характеристики системы автоматизации экспериментального исследования процесса электропрокатки. Предложена блок-схема системы автоматизации эксперимента на ЭВМ „Мера 60“. Рассмотрены функции, реализуемые программой системы автоматизации эксперимента, что обеспечивает оперативность статистической обработки результатов и графическую интерпретацию полученных зависимостей.

METALLURGY

G.Namicheishvili

Automation System for Investigation of Electrorolling Processes

Summary

Principal characteristics of electrorolling processes experimental investigation's automation system have been determined. Block-scheme "Mera-60" for experimental investigation's automation system, on the basis of a computer "Mera-60" is suggested.

Statistics of fast operation of experiments and basic questions of programming ensuring of graphical interpretation of realization system are given.

В.И.Гомелаури (академик АН Грузии), Т.Ш.Маграквелидзе,
 Н.Н.Леквишвили, Г.Г.Гарсеванишвили, Н.О.Банцадзе

О некоторых особенностях образования отложений на шероховатых поверхностях

В исследованиях [1-4] было установлено, что создание на теплоотдающей поверхности двухразмерной искусственной шероховатости обуславливает существенное снижение интенсивности образования отложений при обтекании этой поверхности турбулентным потоком водопроводной воды. В упомянутых исследованиях было также показано, что процесс образования отложений на шероховатых поверхностях носит весьма сложный характер и протекание этого процесса существенно зависит от геометрических параметров шероховатости. В связи со сказанным, для выяснения механизма изучаемого явления, представляют интерес результаты экспериментального исследования по определению локальных характеристик процесса образования отложений на шероховатых поверхностях.




Рис.1. Схема расположения термодатчиков для измерения температуры стенки:

- 1 – внутренняя обогреваемая труба,
- 2 – наружная труба,
- 3 – тефлоновая камера,
- 4 – медный токовод,
- 5 – термодатчик,
- I, II, III – сечения измерений

Экспериментальные результаты, представленные в данной статье, были получены на установке, подробное описание которой дано в работах [1,2,3]. Рабочий участок опытной установки представлял собой вертикально расположенный кольцевой канал с внутренней теплоотдающей трубой. Шероховатость на наружной поверхности внутренней трубы кольцевого канала создавалась путем намотки на эту трубу проволоки из нержавеющей стали. В экспериментах в качестве теплоносителя использовалась водопроводная вода жесткостью 3,6 мгэк/л, которая двигалась в кольцевом канале снизу вверх.

Температура внутренней поверхности обогреваемой трубы измерялась в трех сечениях хромель-алюмелевыми термодатчиками, размещенными в тефлоновых камерах

(рис.1). Хромель-алюмелевыми термопарами измерялась также температура воды на входе в кольцевой канал и на выходе из него. Изменение температуры теплоносителя по длине канала принималось линейным.

Интенсивность образования отложений на данном участке теплоотдающей поверхности оценивалась увеличением во времени температурного напора на этом участке:

$$\Delta T_i = T_{ст_i} - T_{ж_i}, \quad (1)$$

где $T_{ст_i}$ - температура поверхности стенки в i -м сечении теплоотдающей трубы ($i=1,2,3$, см. рис.1), $T_{ж_i}$ - температура жидкости в том же сечении кольцевого канала.




Рис.2. Изменение температурного напора во времени
Гладкая поверхность:

1 — температурный напор в сечении I, $\Delta T_{г1}$,

2 — температурный напор в сечении II, $\Delta T_{г2}$,

3 — температурный напор в сечении III, $\Delta T_{г3}$.

Шероховатая поверхность, $s/h=12,5$, $h=0,1$ мм:

4 — $\Delta T_{ш1}$, 5 — $\Delta T_{ш2}$, 6 — $\Delta T_{ш3}$

На рис. 2, 3 и 4 в полулогарифмических координатах $\Delta T = f(\tau)$, где τ — время протекания процесса образования отложений, представлены результаты экспериментов, полученные при скорости теплоносителя $w=1,7$ м/с, температуре воды на входе в кольцевой канал $T_{ж}=343$ К и отношениях шага между элементами шероховатости — s к их высоте — h равных 12,5; 5 и 25 соответственно. Высота элементов шероховатости в этих экспериментах была равна 0,1 мм. Плотность теплового потока $q=0,86 \cdot 10^6$ Вт/м². На рис.2. вместе с результатами для шероховатой поверхности представлены также и результаты для гладкой

поверхности, полученные при тех же значениях теплового потока, скорости и температуры теплоносителя.

Как это видно из рис.2, в случае гладкой поверхности по степени роста во времени локальных значений температурного напора, интенсивность образования отложений растет вниз по потоку, что вполне согласуется с результатами работы [5], а в случае шероховатой поверхности имеет место противоположная картина. В частности, в отличие от результатов, полученных на гладкой поверхности, в случае шероховатой поверхности при $s/h=12,5$, наиболее интенсивное образование отложений имеет место в начале обогреваемого участка. В середине трубы интенсивность образования отложений несколько снижается, а в конце обогреваемого участка образование отложений практически не наблюдается.




Рис.3. Изменение температурного напора во времени. Шероховатая поверхность, $(s/h)=5$, $h=0,1$ мм:

1 - $\Delta T_{ш1}$, 2 - $\Delta T_{ш2}$, 3 - $\Delta T_{ш3}$

Согласно результатам, представленным на рис.3, при значении геометрического параметра $s/h=5$, в конце обогреваемого участка, так же как и в случае при $s/h=12,5$, образование отложений практически не имеет места; однако в этом случае, в отличие от результатов, представленных на рис.2, $\Delta T_{ш1}$ и $\Delta T_{ш2}$ увеличиваются практически одинаково, что указывает на продвижение фронта образования отложений по сравнению со случаем при $s/h=12,5$ вниз по потоку.

Наряду с этим, согласно результатам, представленным на рис.4, при значении геометрического параметра шероховатости $s/h=25$ имеет место практически равномерное осаждение отложений по всей длине обогреваемой трубы. Следует отметить, что визуальный осмотр экспериментальных труб показал полное соответствие с вышеизложенными результатами. Аналогичные результаты были получены при скорости теплоносителя - 2,4 м/с, а также при значениях высоты элементов шероховатости равных 0,2 мм и 0,3 мм.




Рис. 4. Изменение температурного напора во времени. Шероховатая поверхность, $s/h=25$, $h=0,1$ мм:
1 - $\Delta T_{ш1}$, 2 - $\Delta T_{ш2}$, 3 - $\Delta T_{ш3}$

С целью объяснения представленных выше, на первый взгляд, неожиданных результатов, рассмотрим следующую физическую модель течения в пристеночном слое при образовании отложений. Естественно предположить, что неподвижный слой отложений на теплоотдающей поверхности омывается турбулентным потоком со взвешенными твердыми частицами, оторвавшимися от указанного слоя. Эти частицы находятся в динамическом равновесии, и, в связи с этим, каждая из этих частиц окружена насыщенным раствором соли в нем солями слоя жидкости. В случае гладкой поверхности, вследствие флуктуаций скорости в турбулентном потоке, указанные частицы, из-за большого градиента температуры, могут оказаться в зонах с повышенной (ближе к стенке) или пониженной (дальше от стенки) температурой. Поскольку в водопроводной воде растворен в основном CaCO_3 , то при перемещении в сторону стенки эти частицы растут вследствие кристаллизации и могут оседать на поверхности нагрева, а при перемещении дальше от стенки, оставаясь при этом в пределах пристеночного слоя, частицы начинают растворяться. Таким образом, они являются потенциальными источниками для покрытия дефицита концентрации солей в пристеночном слое, возникшего вследствие образования отложений на стенке. Следует, однако, при этом отметить, что основной движущей силой протекания процесса является концентрационный напор $C_o - C_{ст}$, где C_o - концентрация в ядре потока, $C_{ст}$ - концентрация у стенки. В связи со сказанным очевидно, что при неизменной турбулентности вдоль канала, вследствие роста температуры как жидкости, так и поверхности стенки, интенсивность образования отложений будет расти вниз по потоку.

Поскольку наличие на теплоотдающей поверхности элементов шероховатости обуславливает резкое изменение гидродинамики как всего потока, так и, особенно, пристеночного слоя, процесс образования отложений на шероховатой поверхности будет протекать по-другому. Так, согласно физической модели интенсификации

теплообмена методом двухразмерной шероховатости, предложенной в работе [6], вихри, срывающиеся с вершин элементов шероховатости, помимо турбулентного ядра, распространяются также и в сторону пристеночного слоя, вызывая дополнительную турбулизацию последнего. Безусловно, что высокая турбулентность пристеночного слоя будет способствовать увеличению интенсивности доставки свежих порций раствора к поверхности нагрева и, следовательно, росту интенсивности кристаллизации солей; однако, с другой стороны, турбулизация пристеночного слоя обуславливает снижение температуры стенки, что, в свою очередь, вызывает уменьшение интенсивности кристаллизации CaCO_3 . Кроме того, следует отметить, что высокое значение касательного напряжения на шероховатой поверхности обуславливает интенсивный снос отложений потоком жидкости. В связи со сказанным, при прочих равных условиях, количество отложений, закрепившихся на стенке в случае шероховатой поверхности, будет меньше, чем в случае гладкой поверхности. Наряду с этим, наличие на поверхности нагрева элементов шероховатости и срывающиеся с их вершин вихри будут обуславливать интенсивный отток оторвавшихся от неподвижного слоя отложений твердых частиц в ядро потока и, соответственно, снижение концентрации солей в пристеночном слое. Поскольку указанный отток твердых частиц будет происходить у каждого элемента шероховатости, то концентрация солей в пристеночном слое должна постепенно снижаться вниз по потоку. Очевидно, что интенсивность снижения концентрации в пристеночном слое вниз по потоку в значительной степени будет определяться геометрическим параметром шероховатости — s/h . В частности, поскольку, согласно [6], касательное напряжение у стенки достигает максимального значения при $s/h=12-14$, то интенсивность отрыва твердых частиц от неподвижного слоя и их оттока в ядро потока в этом случае будет максимальной. Отклонение значения геометрического параметра шероховатости от указанной величины как в сторону увеличения, так и в сторону уменьшения будет обуславливать снижение интенсивности отрыва и оттока в ядро потока твердых частиц. Очевидно, что уменьшение концентрации солей в пристеночном слое вниз по потоку должно обуславливать соответствующее снижение интенсивности образования отложений.

Предложенная физическая модель хорошо согласуется с приведенными выше экспериментальными результатами, согласно которым при значении геометрического параметра шероховатости $s/h=12,5$ интенсивность образования отложений на теплоотдающей поверхности снижается вниз по потоку и, начиная с определенного участка, образование отложений практически не имеет места. Указанная модель дает также объяснение результатам, полученным при $s/h=5$ и $s/h=25$, которые указывают на расширение в этих случаях зоны образования отложений вниз по потоку.

ვ.გომელაური (საქართველოს მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი), თ.მაგრაკველიძე,
ნ.ლექვეიშვილი, გ.გარსევანიშვილი, ნ.ბანცაძე

ხაოიან ზედაპირებზე დანალექების წარმოქმნის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

რეზიუმე

წარმოდგენილი ექსპერიმენტული მონაცემები ნათელყოფენ, რომ თუ გლუვი მილების შემთხვევაში დანალექების წარმოქმნის ინტენსიურობა იზრდება მილის გასწვრივ ნაკადის მიმართულებით, ხაოიანი მილების შემთხვევაში ადგილი აქვს შებრუნებულ სურათს. კერძოდ, ხაოიანობის გეომეტრიული პარამეტრის ოპტიმალური მნიშვნელობის შემთხვევაში ($s/h=12,5$), დანალექების წარმოქმნის ინტენსიურობა მაქსიმალურია მილის საწყის უბანზე და იგი მცირდება მილის გასწვრივ ნაკადის მიმართულებით, ხოლო მილის ბოლოში დანალექები პრაქტიკულად არ წარმოიქმნება. გეომეტრიული პარამეტრის როგორც გაზრდა, ისე შემცირება მის ოპტიმალურ მნიშვნელობასთან შედარებით, იწვევს სურათის შეცვლას. შემოთავაზებულია პროცესის ფიზიკური მოდელი, რომელიც მიღებული შედეგების ახსნის საშუალებას იძლევა.

HEAT ENGINEERING

V.Gomelauri, Th.Magrakvelidze, N.Lekveishvili, G.Garsevanishvili, N.Bantsadze


About Some Peculiarities of Scale Deposition on the Rough Surfaces

Summary

The local characteristics of scale deposition on smooth and rough surfaces have been investigated experimentally. It is shown, that if in the case of smooth surface the intensity of scale deposition is increasing downstream to the flow, the reversal appearance is observed in the case of rough surface. The physical model of the studied process which is in good agreement with experimental results, have been proposed.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Труды ИСУ АН Грузии, XXIV:1, 1988.
2. Сообщ. АН Грузии, 131, 3, 1988.
3. Труды ИСУ АН Грузии, XXVII:1, 1989.
4. Материалы теплофизического семинара. Сухуми, 1991.
5. D.Hasson and J.Zahavi. Indust and Engin. Chemistry, 9, 1, 1970.
6. V.Gomelauri. Int. J.Heat and Mass Transfer, 7, 6, 1964, 653-663.



გ.გაგუა

კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირების საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ.გაგუამ 30.11.1993)


კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირება (ლათ. bonitas – კეთილზარისხოვანი, ვარგისიანი, ნაყოფიერი) წარმოადგენს ბუნებრივი პირობების ბიოლოგიური პროდუქტიულობის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. ბიოლოგიური პროდუქტიულობის საზომად მიღებულია ბიოკლიმატური პოტენციალი. აღნიშნული ტერმინი მეცნიერებაში შემოტანილია პ.კოლოსკოვის [1] მიერ. მისი განმარტებით ბიოკლიმატური პოტენციალი ხასიათდება კლიმატური ფაქტორების კომპლექსით, რომელიც განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაძლებლობებს, მიწების შესაძლებელ ბიოლოგიურ პროდუქტიულობას.

ბიოკლიმატური პოტენციალის შესწავლას სფუძველი ჩაუყარა კ. ტომირიაშვიტმა [2]. იგი ტერიტორიის ბუნებრივი სიმდიდრის შეფასებას იძლევა მზის მოსული ენერჯის რაოდენობით. იდეა შემდეგ განაგრძო ვ. დოკუჩაევმა [3], რომელმაც მიწების ბიოლოგიური პროდუქტიულობის შეფასების მიზნით შემოიტანა ცნება „ნორმალური მოსავლიანობა“, რაშიც იგულისხმებოდა სახნავი მიწების მოსავლიანობის შედარება საშუალო მოსავლიანობასთან. აღნიშნული იდეა განავითარა გ.ვისოცკიმ [4], რომლის მიხედვით ტერიტორიის ბუნებრივი სიმდიდრე განისაზღვრება კლიმატური პირობებით.

კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ბონიტირების (ნაყოფიერების შეფასება) საკითხზე, გარდა პ. კოლოსკოვისა, გამოკვლევები აქვთ: ს. საპოენიკოვას [5], თ.დავითაიას [6], დ. შაშკოს [7,8], ა. ეიუბოვს [9]. აღნიშნული საკითხისადმი მათ თითქმის ერთნაირი პრინციპული მიდგომა აქვთ: პირველ რიგში სწავლობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების აგროკლიმატურ პირობებს და მათ გავლენას მოსავლიანობაზე, შემდეგ კი – კლიმატის პოტენციურ შესაძლებლობებს მოცემული კულტურის მოსაყვანად.

ბიოკლიმატური პოტენციალის კვლევის სამუშაოები ჩატარებულია ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ბევრი დიდი ქვეყნისათვის. შესწავლილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მცენარეთა ველური ფორმების ბიოლოგიური პროდუქტიულობის, მერქნის საშუალო წლიური ნაზრდის დამოკიდებულება ბიოკლიმატურ პოტენციალთან – სითბოსა და ტენის უზრუნველყოფის მაჩვენებლებთან. გამონაკლისს წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკა, სადაც ეს საკითხი ბოლომდე ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. ამ დროს კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში, რათა რაციონალურად იქნეს გამოყენებული ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი კლიმატური პირობები, ეს ჩვენი ეროვნული სიმდიდრე.

კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შეფასების საკითხის შესწავლა ჩვენ [10] დავიწყეთ კოლხეთის დაბლობის პირობებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება შესაძლებელია ძირითადად ბუნებრივი დატენიანებით.



საქართველოს კლიმატის სასოფლო-სამეურნეო ნაყოფიერების შეფასების ჩვენი მეთოდი ეფუძნება ს.საპოჟნიკოვას და დ. შაშკოს გამოკვლევებს, რესურსების შესაფასებლად ვსარგებლობთ აქტიურ ტემპერატურების დატენიანების რეჟიმისათვის კი - დ. შაშკოს ტენიანობის მაჩვენებლით (Mα-ატმოსფერული ნალექების ჯამის შეფარდება ჰაერის სინოტივის დეფიციტის ჯამთან). მასალები მოსავლიანობაზე ავიღეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების მონაცემებიდან. ვუშვებთ, რომ საცდელ ნაკვეთებზე კულტურები დაახლოებით თანაბარ აგროტექნიკურ პირობებში მოიყვანება; ამდენად, მოსავლიანობაზე აგროტექნიკური პირობების გავლენა შეიძლება გამოვრიცხოთ. გვჩნება განსხვავებული კლიმატური პირობების გავლენა (საცდელი ნაკვეთები ძირითადად განსხვავებულ კლიმატურ პირობებშია) და მისი შეფასება. ამ დაშვებით შესაძლებელი ხდება ბიოლოგიური პროდუქტიულობის კოეფიციენტის (ბპკ) გამოანგარიშება: კერძოდ, იგი გამოითვლება დატენიანების მოცემულ პირობებში მოსავლიანობის შეფარდებით ოპტიმალური დატენიანების პირობების მაქსიმალურ მოსავლიანობასთან. ბპკ-ს დამოკიდებულება დატენიანების მაჩვენებელთან საქართველოს ზოგიერთი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის, რაც მიღებული გვაქვს კომპიუტერის საშუალებით, წარმოვადგინეთ განტოლებების სახით:

სიმინდისათვის - ბპკ = $0,84 + 1,45 \lg Md$,

ვაზისათვის - ბპკ = $1,03 + 1,63 \lg Md$,

ჩისა და ციტრუსოვანი კულტურებისათვის - ბპკ = $0,75 + 2,6 \lg Md$,

სადაც ბპკ არის ბიოლოგიური პროდუქტიულობის კოეფიციენტი.

შემდეგ ვანგარიშობთ აგროკლიმატურ პოტენციალს (ბპკ), რისთვისაც ბპკ-ს ვამრავლებთ აქტიურ და საბაზისო ტემპერატურათა ჯამის ფარდობაზე და წარმოვადგენთ შემდეგი განტოლების სახით:

სიმინდისათვის - ბპკ = $(0,84 + 1,45 \lg Md) \frac{\sum t > 10^\circ}{2000}$,

ვაზისათვის - ბპკ = $(1,03 + 1,63 \lg Md) \frac{\sum t > 10^\circ}{2000}$,

ჩისა და ციტრუსოვანი კულტურებისათვის - ბპკ = $(0,75 + 2,6 \lg Md) \frac{\sum t > 10^\circ}{3000}$,

სადაც ბპკ არის აგროკლიმატური პოტენციალი,

$\sum t > 10^\circ$ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მოცემული პუნქტისა ან ტერიტორიისათვის 2000, 3000 - საბაზისო ტემპერატურათა ჯამებია; ისინი წარმოადგენენ აღნიშნულ კულტურათა გავრცელების უკიდურეს ზედა საზღვარს. კერძოდ, სიმინდისა და ვაზისათვის, როგორც სითბოს მომთხოვნი კულტურებისათვის, აღებული გვაქვს 2000, ჩისა და ციტრუსოვანებისათვის, როგორც სითბოს მოყვარულებისათვის, - 3000.

საქართველოს ტერიტორიისათვის, ზღვის დონიდან დაწყებული მიწათმოქმედების ზედა საზღვრამდე (1000°-იანი იზოხაზი), საერთო აგროკლიმატური დახასიათებისათვის გამოყვანილი გვაქვს შემდეგი განტოლებები:

ბიოლოგიური პროდუქტიულობის კოეფიციენტი -

ბპკ = $0,79 + 2 \lg Md$,



აგროკლიმატური პოტენციალი -

$$\text{აპკ} = (0,79 + 2 \lg Md) \frac{\sum t > 10^\circ}{1000}$$

გამოვიანგარიშეთ აგროკლიმატური პოტენციალიდან აგროკლიმატური ინდექსის ბალებში გადაყვანი კოეფიციენტი. საქართველოს პირობებისათვის იგი შეადგენს 66-ს.

ამრიგად, აგროკლიმატური ინდექსის (აპი) გამოსათვლელი ფორმულა საქართველოს პირობებისათვის ასეთია:

$$\text{აპი} = 66 (0,79 + 2 \lg Md) \frac{\sum t > 10^\circ}{1000}$$

როგორც ცნობილია, საქართველო წარმოადგენს მთაგორიან ქვეყანას, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი მთის ზონაშია. ამიტომ აგროკლიმატური პოტენციალი საჭიროებს შესწორებებს რელიეფის დახრილობასთან კავშირში. მეცნიერული გამოკვლევებისა [9] და ჩვენ მიერ მოპოვებული ემპირიული მასალების ანალიზით, შემოგვაქვს აგროკლიმატური ინდექსის შესწორებები ფერდობის დახრილობის მიხედვით (ცხრ.1), რომლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ კონკრეტულ პირობებში, როცა ცნობილია ფერდობის დახრილობა.

ცხრილი 1

აგროკლიმატური ინდექსის შესწორებები ფერდობის დახრილობასთან დაკავშირებით

ფერდობის დახრილობა გრად.	5	10	15	20	25	30	35	40	45
შესწორება	0,98	0,95	0,92	0,88	0,84	0,80	0,76	0,72	0,68

შესწორებების გათვალისწინებით აგროკლიმატური ინდექსის გამოსათვლელი ფორმულა ასეთია:

$$\text{აპი} = 66(0,79 + 2 \lg Md) \frac{\sum t > 10^\circ}{\sum t_{\text{საბ}}} \cdot i,$$

სადაც $\sum t_{\text{საბ}}$ არის აქტიურ ტემპერატურათა საბაზისო ჯამი.

ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის საქართველოს პირობებში გამოანგარიშებულ იქნა აგროკლიმატური ინდექსის ბალის ერთეულის ფასი; კერძოდ, სიმინდისა და ჩაისათვის იგი შეადგენს 0,025 ტ/ჰა, ციტრუსოვანი კულტურებისათვის - 0,02-ს, ხოლო ვაზისათვის - 0,04-ს. აღნიშნული მონაცემების გამოყენებით, აგროკლიმატური პოტენციალის საფუძველზე, შესაძლებელია ჩვენთვის საინტერესო პუნქტისა ან ტერიტორიისათვის განვსაზღვროთ სალიმიტო მოსავლიანობა. კერძოდ, სალიმიტო მოსავლიანობა გამოვიანგარიშება აგროკლიმატური ინდექსის ბალის გამრავლებით ინდექსის ბალის ერთეულის ფასზე. გარდა ამისა, აგროკლიმატური პოტენციალი შეიძლება გამოვიყენოთ მიწების, სავარგულების შესაფასებლადაც. კერძოდ, თუ აგროკლიმატური ინდექსის ბალს გავამრავლებთ შემოსავლიანობის კოეფიციენტზე (პროდუქციის ერთეულზე მიღებული შემოსავლის შეფარდება ეტალონად მიღებულ შემოსავალთან) მივიღებთ მიწების შეფასებისათვის ბალებში

გამოსახულ მაჩვენებელს. საერთოდ, კლიმატის სასოფლო-სამეურნეო შეფასების მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოყენება იმაშია, რომ იგი იძლევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგების მეცნიერულ, აგროკლიმატურ დასაბუთებას. გამოვიტვალეთ აგროკლიმატური პოტენციალისა და აგროკლიმატური ინდექსის მნიშვნელობანი საქართველოს 100-ზე მეტი მეტეოროლოგიური სადგურისათვის. აღნიშნული მაჩვენებლების ტერიტორიული განაწილების თავისებურების გათვალისწინებით გამოყოფილ იქნა აგროკლიმატური პოტენციალისა და მისი ინდექსის ვერტიკალური ზონები საქართველოს ტერიტორიაზე (ცხრ. 2), რომლებიც წარმოდგენილია 5 ჯგუფად.

ცხრილი 2

საქართველოს ტერიტორიის აგროკლიმატური პროდუქტიულობის შეფასების სკალა

აგროკლიმატური პროდუქტიულობის ხარისხი	ჯგუფი	პროდუქტიულობის მაჩვენებელი	
		აპკ	აპკ, ბალებში
ძალიან მაღალი	I	>3,2	>211
მაღალი	II	3,2 - 2,4	210 - 158
საშუალო	III	2,4 - 1,7	157 - 112
დაბალი	IV	1,7 - 1,0	111 - 66
ძალიან დაბალი	V	<1,0	<65

როგორც ცხრ. 2-დან ჩანს, საქართველოს ტერიტორიის კლიმატი სასოფლო-სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისით შეფასებული გვაქვს ხუთ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოქცეულია კოლხეთის დაბლობი, ზღვის დონიდან 250 მ სიმაღლემდე, სადაც აღინიშნება აგროკლიმატური პოტენციალისა $>3,2/$ და აგროკლიმატური ინდექსის $>211/$ ძალიან მაღალი მნიშვნელობები. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ბარის ზონა 500 მ სიმაღლემდე და ეწოდება მაღალი პროდუქტიულობის ხარისხის არეალი. მესამე ჯგუფი, საშუალო პროდუქტიულობის ზონა ვრცელდება 500-დან დაახლოებით 750 - 800 მ სიმაღლემდე. მეოთხე ჯგუფი, დაბალი პროდუქტიულობის ხარისხის არეალი ვრცელდება დაახლოებით 1200 მ სიმაღლემდე. აღნიშნული სიმაღლის იზოჰიფსის ზემოთ მიწათმოქმედების ზედა საზღვრამდე კი - მეხუთე ჯგუფი, ძალიან დაბალი პროდუქტიულობის ხარისხის არეალი.

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 6.12.1993)


РАСТЕНИЕВОДСТВО

Г.И.Гагуа

К вопросу сельскохозяйственной бонитировки климата

Резюме

Статья посвящена агроклиматической оценке территории Грузии. Излагается методика расчета показателей агроклиматического



потенциала и его оценки. Важным практическим выводом, вытекающим из бонитировки климата, является агроклиматическое районирование территории сельскохозяйственных культур.

PLANT GROWING

G. Gagua


On the Agricultural Judge of Climate

Summary

Agroclimatic estimation of the territory of Georgia and the method of calculation agroclimatic potential indices with their evaluation are given in the article

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *П.И.Колосков*. Труды научно-исследовательского Института агро-климатологии. Вып. 23. М., 1963.
2. *К.А.Тимирязев*. Избр. соч. Т. I. М., 1957.
3. *В.В.Докучаев*. К учению о зонах природы. М., 1948.
4. *Г.Н.Высоцкий*. Полная энциклопедия русского сельского хозяйства, Т. 9. Спб, 1905.
5. *С.А.Сапожникова*. Труды Всесоюзного научного метеорологического совещания. Т.8.Л.,1963.
6. *Ф.Ф.Давитая, С.А.Сапожникова*. Природные ресурсы Советского Союза, их использование и воспроизводство. М., 1963.
7. *Д.И.Шашко*. Агроклиматическое районирование СССР. М., 1967.
8. *Д.И.Шашко*. Агроклиматические ресурсы СССР. Л., 1985.
9. *А.Д.Эйюбов*. Бонитировка климата Азербайджанской ССР. Баку, 1975.
10. *გ.გაგუა*. კოლხეთის აგროკლიმატური რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა. თბილისი, 1988.



А.И.Хирсели, Э.Я.Нацишвили, М.М.Махатадзе

К вопросу о взаимосвязи изоантигенов групп крови АВО и некоторых показателей иммунной системы при хирургических заболеваниях

(Представлено членом-корреспондентом Академии Г.Д.Иоселиани 22.12.1993)

Известно, что маркерами, или индикаторами, генетических факторов в развитии различных заболеваний являются наследуемые человеком эритроцитарные антигены групп крови АВО. Вместе с этим известно также, что люди с различными группами крови не в одинаковой степени подвержены целому ряду заболеваний и принадлежность крови человека определенной группе по системе АВО может явиться возможным „фактором риска“ возникновения тех или иных заболеваний. Несмотря на то, что в литературе много данных, указывающих на связь между группами крови и такими заболеваниями, как язвенная болезнь [1,2], злокачественные новообразования [3], сахарный диабет [4], холецистит [5], тромбооблитерирующие заболевания [6], цирроз печени [7-8] и др., еще очень мало сведений о механизмах, лежащих в основе иммунологических различий этих болезней с учетом изоантигенной принадлежности.

Учитывая вышесказанное и то обстоятельство, что в возникновении тех или иных заболеваний, наряду с понижением естественной резистентности, важную роль играют также изменения и других параметров иммунной системы, мы сочли небезынтесным сопоставить уровень этих показателей с антигенными маркерами групп крови АВО. С этой целью обследовано 354 лица с разными хирургическими заболеваниями, среди которых 116 – с язвой желудка, 65 – с раком желудка, 47 – с аппендицитом, 65 – с холециститом, 19 – с гастритом, 24 – с неспецифическим язвенным колитом, 12 – с циррозом печени и 6 – с эхинококком печени. Контрольную группу составляли 100 доноров с различной групповой принадлежностью крови, находившихся на учете в республиканской станции переливания крови. При обследовании больных определялись комплементарная, лизоцимная и бактерицидная активность сыворотки крови, фагоцитарная активность нейтрофилов, количество Т- и В-лимфоцитов, концентрация иммуноглобулинов классов М, G и А. Данные обрабатывались статистически по критерию Стьюдента [9]. Вычисляли среднеарифметическую, среднеквадратическую ошибку и показатель для разностей между средними.

Сравнение средних показателей неспецифических факторов

Статистические данные некоторых показателей иммунной системы
у больных с хирургическими заболеваниями

Статистические показатели	КАС				БАС, %				ЛАС, %				ФАН (АФП, тыс.)			
	О	А	В	АВ	О	А	В	АВ	О	А	В	АВ	О	А	В	АВ
n	146	107	48	14	146	107	48	14	146	107	48	14	146	107	48	14
M	0,04	0,04	0,03	0,04	66	40	41	66	40	30	36	36	35,9	24,6	33,6	34,6
±m	0,001	0,005	0,01	0,01	7,4	3,7	1,7	3,6	0,03	0,4	2,0	1,0	0,7	0,7	1,0	1,0
P≤	0,5	0,5	0,5	0,5	0,05	0,05	0,05	0,001	0,05	0,001	0,001	0,05	0,05	0,01	0,01	0,5

	E-РОК, %				M-РОК, %				Имуноглобулин M, г/л				Имуноглобулин G, г/л				Имуноглобулин A, г/л			
	О	А	В	АВ	О	А	В	АВ	О	А	В	АВ	О	А	В	АВ	О	А	В	АВ
n	146	107	48	14	146	107	48	14	146	107	48	14	146	107	48	14	146	107	48	14
M	49,6	37,7	43,0	47,4	16,8	14,2	16,0	17,2	136	109	118	138	1159	1148	1241	1110	233	204	207	291
±m	0,6	0,5	1,0	1,0	0,3	0,4	2,6	1,0	7,0	16,0	2,0	12,1	18,0	13,6	17,0	11,1	2,0	2,0	1,3	1,6
P	0,001	0,001	0,001	0,001	0,01	0,5	0,5	0,05	0,01	0,1	0,01	0,001	0,001	0,5	0,05	0,001	0,05	0,2	0,001	0,05


Сокращения: КАС – комплементарная активность сыворотки,
ЛАС – лизоцимная активность сыворотки,
БАС – бактерицидная активность сыворотки,
ФАН – погл.-фагоцитарная активность нейтрофилов,
АФП – абсолютный фагоцитарный показатель поглощения

естественной резистентности у больных в связи с группами крови не показало статистически достоверной разницы в содержании компонента. Статистически достоверная взаимосвязь прослеживалась среди больных с группой крови А и АВ и бактерицидной активностью сыворотки крови ($P < 0,01$). У этих же больных отмечалось статистически достоверное снижение этого теста по сравнению со здоровыми ($P < 0,01$). Прослеживалась также взаимосвязь между содержанием сывороточного лизоцима и группами крови 0 и АВ ($P < 0,001$ и $P < 0,05$). В то же время у больных с различными группами крови лизоцимная активность сыворотки крови была статистически достоверно выше, чем у здоровых, что ярче выражалось у лиц с группой крови 0 ($P < 0,05$). Межгрупповое сравнение данных фагоцитарной активности нейтрофилов показало статистически достоверную разницу при группе крови А ($P < 0,01$), относительное повышение показателей этого теста, наблюдаемое у всех обследованных лиц, по сравнению со здоровыми, наиболее ярко выражалось при группе крови 0 и АВ ($P < 0,05$). Самый низкий показатель этого теста имел место у больных с группой А ($P < 0,01$).

Содержание Е-розеткообразующих клеток показало статистически достоверную разницу при группе крови 0 и АВ ($P < 0,001$). Относительное снижение показателей этого теста, которое отмечалось у всех обследованных лиц, наиболее ярко было выражено у больных с группой крови А ($P < 0,001$). При исследовании М-розеткообразующих клеток межгрупповая разница достоверной оказалась при группе крови 0 и АВ ($P < 0,01$ и $P < 0,05$). Статистически достоверное повышение числа М-розеткообразующих клеток наблюдалось при группе крови АВ ($P < 0,05$). Концентрация иммуноглобулина М статистически достоверно была повышена при группе крови 0 и АВ ($P < 0,001$). Самый высокий показатель этого теста, по сравнению со здоровыми, отмечался у больных с группой крови АВ ($P < 0,05$). При анализе данных иммуноглобулина G статистически достоверная разница ($P < 0,001$) отмечалась при группе крови 0 и АВ. При этом самый высокий показатель этого теста, по сравнению со здоровыми, отмечался при группе крови В ($P < 0,05$), а самый низкий - при группе АВ ($P < 0,001$). Межгрупповое сравнение показателей иммуноглобулина А показало, что разница статистически достоверна при группе крови 0 и АВ ($P < 0,05$). Самый низкий показатель этого теста отмечался при группе крови А ($P < 0,05$).

Анализ состояния факторов естественной резистентности у больных показал различие в содержании бактерицидной и лизоцимной активности сыворотки крови, а также фагоцитарной активности нейтрофилов, в основном, у лиц с группами крови 0 и АВ. Аналогичные результаты показали и данные, полученные путем обследования клеточного и гуморального звена иммунологической системы.

Резюмируя проведенные исследования, следует отметить, что существует определенная корреляция между изменениями показателей иммунной системы и группами крови, в основном, 0 и АВ, что, в свою



очередь, можно расценить как повышение чувствительности у лиц с этими изоантигенами и, следовательно, предрасположенности к некоторым хирургическим заболеваниям.

Институт хирургии МЗ Грузии

(Поступило 22.12.1993)

ბიომედიკა და სელექცია

ა.ხირსელი, ე.ნაციაშვილი, მ.მახათაძე

ABO სისხლის ჯგუფების იზოანტიგენებისა და იმუნური სისტემის ზოგიერთი მაჩვენებლის ურთიერთკავშირის საკითხებისათვის ქირურგიული დაავადებების დროს რეზიუმე

სხვადასხვა ქირურგიული დაავადებების მქონე 354 ავადმყოფს შორის შესწავლილია იმუნოლოგიური სისტემის მდგომარეობა სისხლის ABO ჯგუფებთან კავშირში.

მიღებული შედეგების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ O და AB სისხლის ჯგუფების მქონე პირებს აქვთ გარკვეული მიდრეკილება ამ დაავადებისადმი.

GENETICS AND SELECTION

A. Khirseli, E. Natsiashvili, I. Makhatadze


To the Question of Blood Group Isoantigens ABO Connection with Some Significant Immunity System in Surgical Diseases

Summary

The condition of the immune system in connection with ABO blood groups has been studied in 354 patients with various surgical diseases. The results obtained indicate certain predisposition to these diseases in persons with O and AB blood groups.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. I.A.Roberts. Brit. Med. Bull., 15, 1959, 129-133.
2. Р.И.Зайцева, А.Д.Кулиш. Труды Крымского мед. ин-та, 73, 1977.
3. Живецкий, В.А. Андрусенко, Г.В. Бондарь. Врач. дело, 6, 1976, 107-109.
4. R. Mc Connell, D. Pyke, J. Roberts. Brit. M.J., 1, 1956, 722.
5. Е.И. Чиченко, Ю.Н. Копель. Клин. мед., 53, 11, 1975, 73-75.
6. Т.И. Фисанович, А.Г. Толстова. Клин. мед., 56, 5, 1978, 76-80.
7. I. Aird, H. Ventall, J. Roberts. Brit. Med. J., 1, 1959, 199.
8. А.К. Туманов, В.В. Томилли. Наследственный полиморфизм изоантигенов и ферментов крови в норме и патологии человека. М., 1969.
9. Ю. Урбах. Математическая статистика для биологов и медиков. М., 1963.



თ.ბერიაშვილი, თ.ჩიღვინაძე

CO₂-ის ასიმილაცია C₃-, C₄-მცენარეებისა და ყურძნის მტევნის მიერ

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ.ხუცუბაძემ 2.6.1993)

ცნობილია, რომ CO₂-ის ასიმილაცია მთელ რიგ მცენარეებში ძირითადი გზისაგან (კალვინის სქემა) განსხვავებული გზით ხორციელდება, სადაც CO₂-ის ფიქსატორის როლს ასრულებს ფოსფოენოლპირუვატი და პირველ პროდუქტს წარმოადგენს მჟაუნძმარმჟავა [1-4]. ჩვენ მიერ აღრე ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე გამოვთქვით ვარაუდი, რომ ერთსა და იმავე მცენარეებში ვეგეტაციის პერიოდებსა და სხვა ფაქტორებთან დაკავშირებით CO₂-ის ასიმილაცია შეიძლება ხორციელდებოდეს ხან ერთი, ხან მეორე გზით [5,6].

წინამდებარე სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა C₃-, C₄-მცენარეებისა და ყურძნის მტევნის მიერ შეთვისებული CO₂-ის ნახშირბადის მონაწილეობა სხვადასხვა ნივთიერების წარმოქმნაში. ექსპერიმენტებისათვის გამოყენებულ იქნა C₃- (ხორბალი, ქერი) და C₄-მცენარეების (სიმინდი, ღომი) ნაზარდები. საკვლევი მცენარეები მოთავსებულ იქნა ორგანული მინის ჭურჭლებში, სადაც რადიოაქტიური ნახშირორჟანგის კონცენტრაცია უდრიდა 1% -ს, ხვედრითი რადიოაქტივობა - 50 $\mu\text{Ci}/\text{ლიტრი}$. ¹⁴CO₂-ის მისაღებად გამოყენებულ იქნა Ba¹⁴CO₃. ცდების ხანგრძლივობა უდრიდა 0,5 და 5 წუთს. ექსპერიმენტები ჩატარდა სინათლესა (განათება 25-30 ათასი ლუქსი) და სიბნელეში, 29-30°C ტემპერატურის პირობებში. ყურძნის მტევნებზე (ჯიში რქაწითელი) ექსპერიმენტები ჩატარებულ იქნა ნაყოფის განვითარების სამ პერიოდში: ახლადგამონასკვლ ნაყოფებზე, ისრიმობის პერიოდსა და სიმწიფის დასაწყისში. ცდები ჩატარდა სინათლეზე, ზედ ვაზზე. ყურძნის მტევნები მოთავსებულ იქნა ორგანული მინის ჭურჭლებში, სადაც ¹⁴CO₂-ის კონცენტრაცია და ხვედრითი რადიოაქტივობა ისეთივე იყო, როგორც ზემოთ აღნიშნულ ცდებში. ექსპერიმენტების ხანგრძლივობა უდრიდა 0,5, 5 და 30 წუთს.

საანალიზო მასალის ფიქსაცია წარმოებდა მადულარი, ხოლო ნივთიერებათა ფრაქციების ექსტრაქცია 80%-იანი ეთანოლით. ნივთიერებათა ფრაქციების გამოყოფა და ინდივიდუალური კომპონენტების იდენტიფიცირება ხდებოდა ქრომატოგრაფიული და რადიოაქტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით [7-9]. რადიოაქტივობა განისაზღვრა სცინტილაციურ სპექტრომეტრ SL-30-ზე.

ექსპერიმენტების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ სინათლეზე ასიმილირებული ¹⁴CO₂-ის ინტენსივობის მიხედვით C₃- და C₄-მცენარეები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, C₄-მცენარეების მიერ შეთვისებული ნახშირორჟანგი დაახლოებით ორჯერ მეტი აღმოჩნდა C₃-მცენარეებთან შედარებით (ცხრ.1). სიბნელეში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების მიხედვით კი მათ შორის დიდი განსხვავება არ შეინიშნება. 0,5-წუთიანი ექსპოზიციის დროს C₄-მცენარეების მიერ

ცხრილი 1
C₃- და C₄-მცენარეების მიერ შეთვისებული ¹⁴CO₂-ის ნახშირბადის ჩართვა ინდივიდუალურ ნივთიერებებში



მცენარის დასახელება	ცდის ვარიანტი	1გ ნედლი ბიომასის		რადიოაქტიულობა 10 ³ იმპ/წთ 1გ ნედლ მასალაში					
		რადიოაქტიულობა 10 ³ იმპ/წთ		ვაშლის მჟავა		ასპარაგინის მჟავა		ალანინი	
		0,5 წუთი	5 წუთი	0,5 წუთი	5 წუთი	0,5 წუთი	5 წუთი	0,5 წუთი	5 წუთი
სიმინდი	სინათლე	52	508	28,6	192	15,6	127	7,8	188
	სიბნელე	5,6	51	3,1	24,5	2,5	25	0	1,5
ღომი	სინათლე	50	497	27,5	188	15	124	7,5	184
	სიბნელე	5,2	50	2,8	24	2,3	24,5	0	1,5
ხორბალი	სინათლე	31	262	10,7	110	9,6	68	10,6	83
	სიბნელე	4,8	38	2,4	18	2,1	18,6	0,2	1,1
ქერი	სინათლე	29	263	10,2	103	8,4	65,7	10,3	94
	სიბნელე	4,6	36	2,3	17	2	17,6	0,2	1,1

ცხრილი 2
ყურძნის მტევნის მიერ შეთვისებული ¹⁴CO₂-ის ნახშირბადის განაწილება ნივთიერებათა ფრაქციებში და ინდივიდუალურ ნაერთებში

ნაყოფის განვითარების პერიოდები	ექსპოზიცია, წუთი	ფრაქციების ჩამური რადიოაქტიულობა 10 ³ იმპ/წთ 1გ ნედლ მასალაში	%ით ფრაქციების ჩამური რადიოაქტიულობიდან			რადიოაქტიულობა 10 ³ იმპ/წთ 1გ ნედლ მასალაში		
			ორგანული მჟავები	ამინომჟავები	შაქრები	ვაშლის მჟავა	ასპარაგინის მჟავა	ალანინი
აბლაღდამონის-კვული ნაყოფი	0,5	34	81,3	12,4	6,3	27	2,2	2
	5	236	72,4	19,2	8,4	160	20	18
	30	408	66,5	21,2	12,3	249	39	34
ისრიმობის პერიოდი	0,5	31	67,8	17,7	14,5	20	3,2	1,6
	5	198	64,4	18,4	17,2	113	18	9
	30	396	56,2	20,2	23,6	173	40	24
სიმწიფის პერიოდი	0,5	19	19,5	12,4	68,1	3,2	0,7	3,9
	5	132	17,5	10,3	72,2	18,5	3,4	10
	30	302	16,7	11,4	71,9	40	10	24



შეთვისებული ¹⁴CO₂-ის ნახშირბადის 80-85% ჩართული აღმოჩნდა ასპარაგინის მკვებებში (უპირატესად ვაშლის მკვებაში), მაშინ როდესაც რადიოაქტივობა მხოლოდ 12-14% იყო. C₃-მცენარეების მიერ სინათლეზე შეთვისებული ¹⁴CO₂-ის ნახშირბადი თითქმის თანაბრად აღმოჩნდა ჩართული დიკარბონმკვებებსა და ალანინში, როგორც 0.5-, ისე 5-წუთიანი ექსპოზიციების დროს. სიბნელეში ფიქსირებული ¹⁴CO₂-ის ნახშირბადი როგორც C₄-, ისე C₃-მცენარეებში, ძირითადად ჩართული აღმოჩნდა ვაშლისა და ასპარაგინის მკვებებში.

ყურძნის მტევნებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, რომ ახლადგამონასკეულ ნაყოფებსა და ისრიმობის პერიოდში სინათლეზე ასიმილირებული ¹⁴CO₂-ის ნახშირბადი ძირითადად ორგანული მკვებების წარმოქმნას ხმარდება, ამინომკვებები და შაქრები შედარებით დაბალი რადიოაქტივობით არის წარმოდგენილი (ცხრ. 2). 0.5-წუთიან ექსპოზიციაში ახლადგამონასკეული ნაყოფების მიერ შეთვისებული ¹⁴CO₂-ის ნახშირბადის მიერ 80%-ზე მეტი ჩართული აღმოჩნდა ვაშლის მკვებაში. ისრიმობის პერიოდში ვაშლის მკვებას რადიოაქტივობა შეადგენდა შეთვისებული ¹⁴CO₂-ის 65%-ს, სიმწიფის დასაწყისში კი 16%-ს. ახლადგამონასკეულ ნაყოფებსა და ისრიმობის პერიოდში ალანინის რადიოაქტივობა იყო 3-4%, სიმწიფის დასაწყისში - 20%.

მიღებული შედეგები იმაზე მიანიშნებს, რომ ნაყოფის განვითარების სხვადასხვა ფაზაში CO₂-ის აქციპტორის როლს სხვადასხვა ნივთიერება უნდა ასრულებდეს. კერძოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაყოფის განვითარების პირველ პერიოდებში CO₂-ის ფიქსატორის როლს უნდა ასრულებდეს ფოსფორილპირუვატი, სიმწიფის დასაწყისიდან კი - რიბულოზო -1,5- დიფოსფატი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ს. ღურშიშიძის სახელობის მცენარეთა
ბიოქიმიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 3.6.1993)

БИОХИМИЯ

Т.В.Бериашвили, Т.Д.Чигвинадзе

Ассимиляция CO₂ C₃-, C₄-растениями и гроздьё виноградной лозы

Резюме

Изучена ассимиляция ¹⁴CO₂ C₃- и C₄-растениями на свету и в темноте. Показано, что C₄-растения (кукуруза, чумиза), по сравнению с C₃-растениями (пшеница, ячмень), в два раза интенсивнее усваивают углекислый газ на свету, в темноте же разницы не наблюдается.

Эксперименты показали, что ассимиляция CO₂ в ягодах винограда на свету в первые периоды развития ягод происходит как у C₄-растений, а с начала созревания — как у C₃-растений.

T. Beriashvili, T. Chigvinadze.

Assimilation of $^{14}\text{CO}_2$ by C_3 -, C_4 -Plants and Grapevine Cluster

Summary

Assimilation of $^{14}\text{CO}_2$ by C_3 - and C_4 -plants on light and in darkness has been studied. It was shown that C_4 -plants (Maize, *Setaria Italica*) in comparison with C_3 -plants (Corn, Barley) two fold intensively assimilate carbonic acid on light, but in darkness the difference is not detected.

Experiments showed that CO_2 assimilation in grapevine seeds on light on the first stage of seed development take place as in C_4 -plants and in the beginning of ripening as in C_3 -plants.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *M.D.Hatch, C.R.Slack*. Ann. Rev. Plant Physiol., 21, 1970.
2. *И.М.Магомедов, В.А.Чесноков*. Биохимия и биофизика фотосинтеза. Иркутск, 1971.
3. *K.K.Winter, J.H.Treughton, K.A.Card, K.Fischer*. Z.Pflanzenphysiol., 81, 4, 1977.
4. *И.М.Магомедов, Н.Н.Тищенко, М.Г.Агаев*. Тр. Петергоф. биол. ин-та ЛГУ, 27, 1978.
5. *Т.В.Берიაშვილი*. Автореф. канд. дисс. Тбилиси, 1974.
6. *Т.Д. Чигვინაძე*. Автореф. канд. дисс. Тбилиси, 1982.
7. *Р.Я.Школьник, Н.Г.Доман, В.Н.Костылев*. Биохимия, 26, 4, 1961.
8. *Ж.В.Успенская, В.Л.Кретович*. Методика количественной бумажной хроматографии сахаров, органических кислот и аминокислот у растений. М.-Л., 43, 1962.
9. *С.Аронов*. Изотопные методы в биохимии. М., 1959.



ე.დავითაშვილი, ნ.კოშორიძე, ნ.ალექსიძე (საქ.მეცნ.აკად.წევრ-კორესპონდენტი), მ.აღამია

ლექტინების გავლენა ადამიანის სისხლის ერითროციტების ჩრდილების Ca^{2+} -ატფ-აზურ აქტივობაზე


Слова на -ly определяют в основном прилагательные и глаголы, а усилители обычно сочетаются только с абстрактными глаголами. И правда, не существует сочетания усилителя с глаголом, выражающим конкретное действие, тогда как в комбинации с так называемыми абстрактными глаголами ему присуща та же функция, которую он исполняет в комбинации с любым словом, которое выражает качество или эмоциональное состояние.

Известно, что усилители в определенных контекстах могут быть так полностью оторваны от любого лексического функционирования, так целиком лишены любого контекста с лексическими реалиями, что они в принципе могут быть приведены к усиленной просодии, к типу усиливающего ударения [1]. Но все эти слова (т.е. интересующие нас

усилители) когда-то были понятийными словами и любой компетентный словарь будет упоминать их между вторичными значениями. У них есть какая-нибудь определенная понятийная основа словосочетания всегда имеется. А сейчас все эти слова на -ly в функции усилителя имеют значение "very". Б.М. Чарлстон считает, что они являются эмоциональными вариантами слова "very", речевыми усилителями и называет их "эмоциональными интенсификаторами" [2].

Слову "very" присуща функция подчеркивания присутствия качества, выраженного определяемым словом, функция, которую имеют все слова на -ly этой категории.

Здесь же следует отметить, что из-за чрезвычайно большой частотности употребления, слово "very" потеряло свою эмфатическую силу. Для того чтобы стать средством выражения эмоции, эти слова должны постоянно меняться; старые слова теряют свою эмоциональную окраску частым изнашиванием и испытанием, и они должны быть заменены более сильными, эффективными словами. Вот поэтому так называемые "эмоциональные интенсификаторы" и употребляются так широко.

Отметим, что усилители на семантическом уровне большей частью реализуются автоматически, они лишены своего лексического значения (происходит их полная десемантизация) и превращаются в фатические клише. Так, например, слова "awfully" в "awfully pretty girl", "terribly" в "terribly kind of you", "dreadfully" в "a dreadfully lovely place" выражают не положительную характеристику, а усиливают лишь качество определяемого слова, которое выделяется говорящим для того, чтобы привлечь внимание слушающего.

Н.Б. Гвишиани подчеркивает, что "и в этом случае следует исходить из метода "цепочки", предполагающего постоянное накопление признаков одного качества по мере утраты противоположного" [3]. Автор добавляет, что роль данных слов не ограничивается фатической функцией. Они могут быть также полными элементами. (Например, "awfully" в "And now Miss Vorever produced her most famous glance of inquiry awfully enigmatical in its final meaning" (J.Pristley) или "terribly" в "But the fourth day she was terribly unsettled and uneasy" (D.H.Lawrence).

Вместе с тем, усилителям присуща как объективная характеристика, так и субъективно-эмоциональная. К первым, т.е. к усилителям объективной оценки, относятся следующие выражения:

"I've been extremely busy all these days";

"For really nowadays there were so many one-way streets that it was exceedingly difficult to get near one's destination"; "He flashed an enormously blown-up photo on the wall" (J.D.Salinger); "Suddenly he felt totally exhausted" (I.Stone) и др.

В этих случаях подчеркнутые слова на -ly выражают не внутреннее состояние говорящего, а объективную констатацию факта, несмотря на то, что степень усиления здесь достаточно велика. В подобных случаях, т.е. при объективном определении качества возможность метасемантического осложнения словосочетания не такая уж большая. Она намного увеличивается при выражении субъективно-эмоциональной характеристики. К числу усилителей субъективно-

эмоциональной оценки можно отнести следующие выражения: "surprisingly decent", "devastating chic", "astonishingly beautiful", "amazingly good looking", "marvellously dear" и др.

"Эмоциональные усилители имеют тенденцию к быстрому стиранию их ингерентной коннотации и превращению в клишированные единицы. Причина этого явления заключается в том, что усилители субъективной характеристики, как часто эмоциональной лексики языка, подвержены частым изменениям, переходом с одной степени метасемантической "емкости" на другую в зависимости от изменения их социальной значимости, их толкования и понимания в различных контекстах" [3].

Мы уже упомянули о полной десемантизации усилителей в сочетаниях типа "terribly sweet", "awfully nice", "frightfully beautiful" и т.д. и превращении их в клишированные фатические единицы. Немного хотим остановиться на усилителях такого типа. Упомянем, что усилители, имеющие отрицательный смысл, в сочетании с положительными определяемыми словами являются более сильными, чем с отрицательными и наоборот. В первом случае они абсолютно теряют свои первоначальные лексические значения, а во втором — частично. Таким образом, некоторые усилители лишены своих значений целиком или частично в зависимости от контекста. Это хорошо показано на следующем примере: слово "terribly" в словосочетании "terribly sweet" сильнее, чем в словосочетании "terribly bad". В первом примере данное слово полностью теряет свое исходное значение, потому что там существует так называемая "семантическая абсурдность" между этими двумя словами, так как они в отдельности вызывают противоположные эмоции (положительную и отрицательную). Для того чтобы вызвать одинаковую эмоцию (в данном случае положительную), слово "terribly" должно абсолютно лишиться своего исходного лексического значения и стать усилителем лексического значения прилагательного "sweet".

В другом примере оба слова вызывают отрицательные, но все-таки различные эмоции (terribly — эмоцию ужаса, а bad — чего-нибудь неприятного). Если мы хотим, чтобы данная фраза вызвала одинаковую эмоцию (как в первом случае), то слово "terribly" должно частично потерять свое значение (страха), чтобы вызвать отрицательную эмоцию и также усилить значение прилагательного.

Таким образом, усилителями могут быть названы такие слова на -ly, которые в сочетании с определяемыми словами (head-words) создают такие пары (словосочетания), которые выражают более преувеличенную мысль (идею), чем сами определяемые слова этих пар, и степень этого преувеличения является прямо пропорциональной эмоции, вызванной этой мыслью (идеей), и обратно пропорциональной частоте употребления этого словосочетания.

Московский гос. университет
им. М.В.Ломоносова

(Поступило 17.09.1993)

ნ.კემერტელიძე

-ly სუფიქსზე დაბოლოებული სიტყვები როგორც გამაძლიერებლები

რ ე ზ ი უ მ ე

-ly სუფიქსზე დაბოლოებული სიტყვები გამაძლიერებლის როლში განიხილება ან არა ცალკე, არამედ განსაზღვრულ სიტყვებთან ერთად. ასეთი შესიტყვებები (წყვილები) გამოხატავენ უფრო გაზვიადებულ იდეას, ვიდრე ამ წყვილების განმსაზღვრელი სიტყვები და გაზვიადების ხარისხი პირდაპირპროპორციულია ემოციისა, რომელიც გამოწვეულია ამ იდეით და უკუპროპორციულია ამ შესიტყვებების გამოყენების სიხშირისა.

LINGUISTICS

N. Kemertelidze

Words On -ly as Intensifiers

S u m m a r y

Words on -ly as intensifiers are analysed not separately but together with the words they define (so called "head-words"). Such word-combinations (pairs) express more exaggerated idea than the head-words of these pairs and the degree of exaggeration is directly proportional to the emotion provoked by this idea and inversely proportional to the frequency of usage of these word-combinations

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. O.S.Akhmanova. "Word-Combination". Theory and Method. M., 1974.
2. Britta M. Charlston. Studies on the Emotional Affective Means of Expression in Modern English. Bern, 1960.
3. Н.Б.Гвишиани. Полифункциональные слова в языке и речи. М., 1979.

მ.ქაჯია

რომანოზ ფანცხავა (ხომლედი) გ. წერეთლის შესახებ

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ.ციციშვილმა 17.6.1993)

გიორგი წერეთელი მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია. იგი ქართველ მამულიშვილთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე და ქართული საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრება ძირეულად შეცვალეს.

უნივერსალური განსწავლულობითა და მოღვაწეობის მრავალფეროვნებით გ. წერეთელი ტიპური სამოციანელია, მწერლობა მხოლოდ ერთი დიდი უბანი იყო მის საქმიანობაში. ამასთანავე, გ. წერეთელი იყო პედაგოგი, ფილოლოგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ისტორიკოს-არქეოლოგი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი, თეატრალური მოღვაწე, სოფლის მეურნეობის დიდი მოამაგე, ხოლო მე-19 საუკუნის II ნახევრის ჟურნალისტიკა საერთოდ წარმოუდგენელია მისი თავგამოდებული მოღვაწეობის გარეშე.


მწერლის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა იმთავითვე იქცა გარკვეული ინტერესის საგნად, არა მარტო განსხვავებულ, არამედ ურთიერთსაპირისპირო, პოლარულ შეფასებათა ობიექტადაც კი; და ეს განსხვავებები კანონზომიერი აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ მისი შემოქმედების პრობლემატიკის აქტუალობასა და სიმძაფრეს, თანადროულობის უჩვეულო გრძნობას, სიახლის გვერდით დგომის შინაგან მოთხოვნილებას, რაც საერთოდ გამოარჩევს გ. წერეთლის ნაღვას.

გ. წერეთლის შემოქმედების შესწავლის გზაზე ბევრი რამ გაკეთდა, დაიწერა ბევრი მნიშვნელოვანი ნარკვევი, მონოგრაფია, რომლებშიც მწერლის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტია წინ წამოწეული, მითითებულია ბევრ საგულისხმო მხარეზე.

ბუნებრივია, რომ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია. ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა (მ.ზანდუკელის, ვ.კოტეტიშვილის, ს.ხუნდაძის, შ.რადიანის, ა.ქილაის, დ.გამეზარდაშვილის, ო.ქურდულიას, ვ.ვახანიას და სხვათა) ნაშრომებში სხვადასხვა კუთხით არის გამოქვეყნებული გარკვეული მიმართება გ. წერეთლის დროინდელი თუ შემდეგი ხანის კრიტიკული მასალისადმი, რაც არ არის შეკრებილი, სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოცემული და მთლიანობაში გაანალიზებული ის კრიტიკული ლიტერატურა გ. წერეთლის შემოქმედების შესახებ, რაც მის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ ვიდრე 1921 წლამდე შეიქმნა.

გ. წერეთლის შემოქმედების კიდევ უფრო საფუძვლიანად შესასწავლად და ღრმად გასააზრებლად, იმის გასათვალისწინებლად, თუ რა ითქვა თავის დროზე საგულისხმო, თუ რა არის საკვლევი უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასეთი მასალის თავმოყრას და ანალიზს.

უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ მიიღო გ. წერეთლის შემოსვლა ქართულ მწერლობაში საზოგადოებამ, რა მხარეები შეამჩნიეს



ქართველმა კრიტიკოსებმა ფასეული მწერლის თხზულებებში, რა მომენტები გამოჰყვეს და წამოსწიეს წინ; ერთი მხრივ, თუ რაში მდგომარეობს მწერლის შემოქმედების ისტორიული მნიშვნელობა კრიტიკოსთა თვალთახედვით, მეორე მხრივ, საჭიროა ჩვენება იმისა, თუ რა ითქვა ღირსეული თავის დროზე, რასაც არც შემდგომისთვის დაუკარგავს მნიშვნელობა, გამძლე გამოდგა, გარკვეული ბიძგი მისცა, საფუძვლად დაედო შემდგომი დროის კვლევა-ძიებას. ყოველივე ამის გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ისტორიის კვლევისა და უფრო სრული სურათის წარმოჩენისათვის.

ამ შემთხვევაში ისიც გასათვალისწინებელია, რომ როგორც მიუთითებენ, ქართული კრიტიკა „XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გაუთანაბრდა მოწინავე ლიტერატურული აზროვნების დონეს და სავსებით ნათლად ჩამოაყალიბა თავისი ესთეტიკური მრწამსი... ამ დროიდან მოყოლებული იგი კვალდაკვალ მიჰყვებოდა ქართული ლიტერატურის აღმავლობას და ცდილობდა სისტემატურად შეეფასებინა ეროვნული მწერლობის ნიმუშები“. მალე საქართველოში გაჩნდა პროფესიონალ-კრიტიკოსთა საკმაოდ დიდი რაზმიც. ამიტომ ბუნებრივია, როცა გ. წერეთლის შემოქმედების მიმართ ქართული კრიტიკის დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, „მას (კრიტიკას) იგივე მოთხოვნები უნდა წაუყენოთ, რაც ყველა ქვეყნისა და ყველა დროის მომწიფებულ, სერიოზულ სალიტერატურო კრიტიკას“.

როგორც აღვნიშნეთ, გ. წერეთლის შემოქმედების შეფასებისას კრიტიკოსები არ არიან ერთსულოვანი. მისი შემოქმედება ობიექტია ნაირნაირი მოსაზრებების. ეს კი სავსებით ნორმალურ ვითარებად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც გ. წერეთლის სახით საქმე არა გვაქვს ერთფეროვან და მარტივ შემოქმედთან.

ის კრიტიკოსები, რომლებიც უმეტეს ყურადღებას მიმართავენ მხატვრული ნაწარმოების პრობლემატიკისაკენ, მხედველობაში უპირატესად თემატიკურ სიახლეს და აქტუალობას ღებულობენ, აქებენ მწერალს, განადიდებენ, ერთგვარად ცალმხრივად აფასებენ, ვერავითარ ნაკლს ვერ ამჩნევენ მის ნაწერებში. მართალია, ასეთ ქებას მომეტებულად მხოლოდ ემოციური შთაბეჭდილებები უღვევს საფუძვლად, მაგრამ ლიტერატურული კრიტიკის ისტორიკოსისათვის ამგვარი შთაბეჭდილება ცაინტერესოა, როგორც გარკვეული მიმართების გამოხატველ საკუთრივ მწერლისა და საერთოდ ცოცხალი ლიტერატურული პროცესებისადმი.

კრიტიკოსთა მეორე ნაწილს, ვინც მხატვრულ ქმნილებას განიხილავს, პირველ ყოვლისა, როგორც ენობრივ ფაქტს, როგორც მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას, განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს გ. წერეთლის ნაწარმოებებისადმი, იწუნებს მათ, სერიოზული ეპი შეაქვს მწერლის შემოქმედებით-მხატვრულ შესაძლებლობებში.

ასეთია ზოგადი სურათი სალიტერატურო კრიტიკის მიმართებისა ცნობილი ქართველი სამოციანელის შემოქმედებისადმი.

იმ კრიტიკოსთაგან, რომლებიც აღიარებენ გ. წერეთლის დიდ დამსახურებას ქართული რეალისტური მწერლობის წინაშე, სახავენ მას გამორჩეულ მწერლად, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ხომლელი (რომანოზ ფანცხავა).

რომანოზ ფანცხავას მიერ გამოთქმული შეხედულებები, მისეული შეფასება გ. წერეთლის პროზაული მემკვიდრეობისა ერთგვარად ტიპურია; ჩვენი ამჟამინდელი ინტერესიც რ. ფანცხავას კრიტიკული წერილებისადმი სწორედ ამითაა განპირობებული.

რომანოზ ფანცხავამ, თავისი როგორც კრიტიკოსის პოზიცია ასე გამოხატა ერთ-ერთ ადრეულ კრიტიკულ სტატიაში: „ჩვენ კი პირადად, სწორი მოგახსენოთ, იმდენ

ფასსა და მნიშვნელობას არ ვაძლევთ ბელეტრისტული ნაწარმოების მხოლოდ და მარტო გარეგნულ მორთულობასა და მოკაზმულობას, რამდენადაც უმისწრესად ვაქცევიან სინამდვილეს, აზრიანობასა და იდეას. ჩვენი ყურადღება უმთავრესად მიექცევა სალიტერატურო ნაშრომის თვით შინაგანს ავ-კარგობის, ცხოველი გრძნობისა და მახვილი ჭკუის ნამდვილ ჭეშმარიტ ნაყოფზე“.

90-იანი წლებიდან მოკიდებული, როცა ხომლედი გაზეთ „კვალში“ იწყებს თანამშრომლობას, იგი ერთგვარად მყარ ინტერესს იჩენს გ.წერეთლის შემოქმედებისადმი. სხვადასხვა კრიტიკულ სტატიაში, კერძოდ ისეთებში, როგორცაა „ქართველი გლეხის შვილი“ (ბნელო, მოთხრობა ნ.მელანიასი), (გაზ. „კვალი“, 1984 წ. №10, 16, 38, 39). „კრიტიკული შენიშვნები“ (დ.კლდიაშვილის შემოქმედება) (ქურნ. „აკაკის თვითური კრებული“, 1989 წ. №9). „ქართული ლიტერატურა“ (გაზ. „ახალი გზა“, №4, 6, 13, 16-18, 20-25, 1925 წ. და სხვ.), კრიტიკოსი საგანგებოდ ეხება და აფასებს გ.წერეთლის ღვაწლს ქართულ მწერლობაში. გ.წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების დახასიათებას ეძღვნება კრიტიკოსის მოგონებით დაწერილი სტატია „გ.წერეთელი“; გაზ. „ტრიბუნა“, №322-324, 1922 წ. და 1925 წ. დასტამებული წერილი „გ.წერეთელი“ (გარდაცვალებიდან 25 წ. შესრულების გამო), (ქურნ. „ხელოვნება“, №3).

რ.ფანცხავა მე-19 საუკუნის ქართულ რეალისტურ მწერლობაში გ.წერეთელს სრულად გამორჩეულ ადგილს აკუთვნებს.

გ.წერეთელი იმთავითვე დაადგა „ნამდვილ რეალური მიმართულების გზას, მაგრამ ევროპაში ყოფნამ, ევროპის მწერლობის და განსაკუთრებით კი ზოლას კეთილისმყოფელმა გავლენამ, კიდევ უფრო განამტკიცა მისი რეალიზმი“.

მართალია, ხომლედი სხვას, კერძოდ კიტა აბაშიძეს, ნაკლად უთვლის სუბიექტურობას, სინამდვილეში კი თავადაც ერთობ მიკერძოებულ პოზიციას ავლენს, როცა თვლის, რომ არა ილია ჭავჭავაძე, არამედ სწორედ გ.წერეთელია რეალიზმის მამამთავარი ქართულ სინამდვილეში. გ.წერეთელი „შეიქმნა მოციქული ახალის, ძლიერისა და ნაყოფიერის მიმართულებისა“. საერთოდ ხომლედი ილია ჭავჭავაძის რეალიზმს არ თვლის ჭეშმარიტ რეალიზმად. მისი აზრით, ი.ჭავჭავაძე და ალ. ყაზბეგი... არ არიან ნამდვილი რეალისტები. მათი ნაწერები გაჭერებულია წარმოსახულით და რომანტიზირებულით.

„წინათ შენიშნავდით, და ისიც ხილულად მხოლოდ და მარტო იდეალისტებს და რეალისტებს, ანდა ერთსა და იმავე ბელეტრისტში იდეალისტიც იყო მოთავსებული და რეალისტიც (ილ.ჭავჭავაძე, ალ.ყაზბეგი და სხვ.) და განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ მოხდებოდა ისე, რომ მწერალი ნამდვილსა და ჭეშმარიტ რეალისტს წარმოადგენდა“.

რ.ფანცხავას აზრით, ი.ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“ გოგოლის ერთ ნაწარმოებს ჰგავს. იგი ფაქტიურად „იწუნებს გოგოლს, მსოფლიო მნიშვნელობის ამ მწერალს, მისი დაცინვაც კი მშრალი ფსიქოლოგიური და კერძო ინდივიდუალური ხასიათისააო, ხოლო ქართველი მწერლის მიერ ერთი ნაბიჯიც კი არ არის გადადგმული“, კრიტიკოსი ილიას თხზულებათა შორის ამჯობინებს „გლებთა განთავისუფლების პირველ დროების სცენებს“.

როგორც მიუთითებენ, ხომლედი „ვერ მადლდება იმ სიტუაციაზე, რომელიც შექმნილი იყო „ივერიელთა“ და „კვალელთა“ პოლემიკისას; ვერ ახერხებს ჭეშმარიტად ისტორიული მიდგომით შეაფასოს ილიას დიდი დამსახურება“.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გარკვევით არის მითითებული, რომ „გოგოლი გენიოსი მხატვარია და როგორც გენიოსს მას არ შეიძლება ჰყოლოდა მიმბაძველი



ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით "... გოგოლის მნიშვნელობა ჩვენი მწერლობისათვის იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ მწერალმა, ჩვენს შემთხვევაში ილია ქავჭავაძემ, მისგან ისესხა ესა თუ ის გამოთქმა, სახე, არამედ იმაში, რომ ილია ქავჭავაძე „ისე მიუდგა გარემო სინამდვილეს, როგორც ეს გოგოლისათვის იყო დამახასიათებელი, რომ ილიამაც მიაქცია ყურადღება ცხოვრების იმ მხარეებს, რომლებითაც განსაკუთრებით დაინტერესდა გოგოლი“.

ისიც სათქმელია, რომ როგორც კრიტიკოსზე, ხომლეზე მისდაუნებურად დიდ ზემოქმედებას ახდენს მისგან უსაბუთოდ და საკმაოდ ტენდენციურად დარწმუნებული ილიას მძლავრი ნააზრვეი.

როგორც ვიცით, 90-იან წლებში იქმნება და ცალკეული ნაწილები იბეჭდება კიდევ ილიას სახელგანთქმული „წერილებისა ქართულ ლიტერატურაზე“. ჩანს, ხომლედი ამ წერილების ზემოქმედებას განიცდის, როცა ერთ-ერთ პირველ კრიტიკულ სტატიაში, რომელიც ი. დავითაშვილის პოეზიას ეძღვნება, XIX საუკუნის ქართული მწერლებისათვის ლირიკული ქანრის მნიშვნელობაზე მსჯელობს.

პირველად ქართულ სინამდვილეში სწორედ ილიამ წამოკრა საკითხი იმაზე, თუ რატომ განვითარდა თავდაპირველად მე-19 საუკუნეში ლირიკა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქანრის დაწინაურებას.

რომანოზ ფანცხვაც ილიას მსგავსად და როგორც ჩანს, მისი ზეგავლენით ფიქრობს: „ერის ხანგრძლივს ცხოვრებაში ხშირია ხოლმე ისეთი ისტორიული გარემოება, როდესაც ერისავე სულსა და გულს, სხვადასხვა, მრავალგვარ აზრებს, გრძნობათა და ოცნებათა მისწრაფებას ჰხატავს მხოლოდ ერთადერთი პოეზია, საკუთრივ ლირიკა. ამიტომაც, ლირიკას დიდი თვალსაჩინო, ღრმა მნიშვნელობა და ძალა ჰქონდა ყოველთვის და აქვს ახლაც,...

მაგრამ, ვაი... რომ ლირიკა სიხარულისა და ლხენისა არ იცის ჩვენმა ახალმა ლიტერატურამ. წუთისოფლის ბრუნვამ დიდი ხანია ხელი აიღო ბევრი ვაებისა და ქირ-ბოროტების მნახველ ქართველობაზე, ცხოვრებამაც დამტუქსეველი და ანჩხლი დედინაცვლის სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებას, ინტელიგენციას და საქართველოს სასიქადულო მგოსანთა მგრძნობიარე, მღელვარე გული მწარედ ააკვნესა“...

ძნელი არ უნდა იყოს ხომლელის ამ მსჯელობაში ილიას ნააზრვეის გავლენა და მისი გამოძახილი დავინახოთ.

გ. წერეთელს, განსხვავებით ილია ქავჭავაძისაგან, ხომლედი დასავლეთ ევროპული ლიტერატურული ტენდენციების განმავითარებლად სახავს ჩვენში. გ. წერეთელი განსხვავებით ილია ქავჭავაძისა და სხვა აღმოსავლეთ საქართველოს მწერლებისგან, აღზრდილი იყო ევროპული ლიტერატურის ტრადიციებზე. იგი გაიზარდა ფლობერისა და ბალზაკის რომანებზე, ხოლო შემდეგ საზღვარგარეთ გაემგზავრა. „ამ დროს ევროპაში ჩვენი ახალგაზრდა ბელეტრისტი საზღვარგარეთ შეესწრო და პირდაპირ მოწმეც შეიქმნა იმ დიდი და ნაყოფიერი მოძრაობისა, როდესაც „რუგონმაკარების“ ავტორის სახელგანთქმული ემილ ზოლას ახალი ნაწარმოები ერთ უშველებელ ქარიშხალს ტეხდა ხოლმე მთელს მსოფლიო ლიტერატურაში. ემილ ზოლას გენიოსობამ შესანიშნავი, დიდი და ღრმა კვალი გაავლო მთელ საზოგადო ლიტერატურის ისტორიას და იგი შეიქმნა მოციქული ახალი, ძლიერი და ნაყოფიერი მიმართულებისა“.

ხომლელის ფიქრით, ზოლას კეთილისმყოფელი გავლენა გ. წერეთელზე იმაში გამოიხატა, რომ იგი შეუდგა საფუძვლიან დაკვირვებას და მტკიცედ შესწავლას ცხოვრებისას.

ერთგან რ. ფანცხავა გ. წერეთელს „ქართველ ემილ ზოლას“ უწოდებს. როგორც ხომლედი წერილებიდან ჩანს, იგი ემილ ზოლას რეალიზმის ნამდვილ მომხრეს თვლის და მიიჩნევს, რომ ერთგან ზოლას მიერ ნათქვამი „პროტოკოლის“ სინამდვილის ასახვის თვალსაზრისით, რაც რუსეთში მისდამი აღმაცერი ცქერის საფუძველი გახდა, სრულიადაც არ იძლევა ზოლას დაწუნების საფუძველს. ზოლას ეს ნათქვამი მხოლოდ ფრაზაა და სრულიადაც არ გულისხმობს სინამდვილის ფოტოგრაფიულ გადატანას მხატვრულ ნაწარმოებში.

ხომლედი მიუღებლად ჩათვალა კ.აბაშიძის მიერ მომარჯვებული ევოლუციური მეთოდის გამოყენება ლიტერატურათმცოდნეობაში. მისი აზრით, კ.აბაშიძე ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს რეალიზმს და ნატურალიზმს.

ნატურალიზმისა და რეალიზმის განსხვავების ჩვენებას, უნდა ითქვას, რომ ვერც ხომლედი იძლევა. ფაქტიურად ორივე კრიტიკოსი ზოლას ნატურალიზმს რეალიზმად სახავს.


კ.აბაშიძეც ისევე, როგორც ხომლედი ნატურალიზმს რეალიზმისაგან არ მიჯნავს და ამ მხრივ არ უპირისპირებს იგი გ. წერეთელს ილიასა და აკაკის. ნატურალიზმი კ. აბაშიძისათვის იგივე რეალიზმია. კერძოდ, იგი წერს: „გავიხსენოთ რეალიზმისა და ნატურალიზმის განსაზღვრა“ ... რეალიზმი თხოულობს, რომ ცხოვრება და მოვლენა აღწეროს მწერალმა რამდენადაც შეიძლება ობიექტურად; ეცადოს თავისი პირადობა დამალოს. თავისი „მე“ მისი გრძნობებით, აზრებით, სურვილებით და მისწრაფებებით უკუაგდოს და დაემორჩილოს გარეშე მოვლენათა მიუდგომელ გამოსახულებას. მისი ხელოვნების ერთადერთი წყარო უნდა იყოს ბუნებისა და ცხოვრების დაკვირვება, ხოლო მისი ოცნება, მისი პოეტური წარმოდგენა მთლად ერთიანად შეზღუდული და შემოკლებული უნდა იქნეს და მის შემოქმედებაში მარტო მშრალი გონება უნდა იყოს გაბატონებული. ამასთანავე, თავისი ნაწერების საგნისათვის მწერალმა უნდა ადამიანის ჩვეულებრივ ცხოვრებას, ცხოვრების უფერულ და უსახო შეილთა ზნე-ჩვეულება დაგვიხატოს. ერთი სიტყვით, მდიდარი არ იყოს, „ქუჩის ერთი ყურე დაგვანახოს“. ეს არის ძირითადი თვისება რეალიზმისა, ანუ უკეთა ვთქვათ, ნატურალიზმისა ხელოვნებაში“.

ასე რომ, ხომლედი და კიტა აბაშიძეს შორის ამ მხრივ განსხვავება არაა.

როგორც გარკვევით არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში, სიმართლეს არ შეესაბამება ხომლედი განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს გ. წერეთელი არის ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის გზის გამკვალავი და მისი ფესვების გამმაგრებელი.

„გ. წერეთლის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისათვის რეალიზმი ქართულ მწერლობაში გაბატონებული მიმართულება იყო, და რომ არაფერი ვთქვათ 50-იანი წლების რეალისტთა დამსახურებაზე, მას ჰყავდა ისეთი ბუმბერაზი წინამორბედნი, როგორებიც იყვნენ ილია და აკაკი. გ. წერეთელი მათი ტრადიციების გამგრძელებელი და განმავითარებელია ეპოქისა და თავისი ტალანტის შესატყვისად“.

მკვლევარები დაბეჯითებით უარყოფენ გ. წერეთლის შემოქმედების ნატურალისტურ ხასიათს, მაგრამ ამ მხრივ საეპარისი არაა იმის აღნიშვნა, რომ გ. წერეთელი არ არის სინამდვილის ფოტოგრაფიულად გადამღები, გარეგნული მხარის ზუსტი ასლის გადმომცემი. სინამდვილე ზუსტად, ფოტოგრაფიულად, როგორც ამბობენ, არათუ გ. წერეთელს, არამედ არც არავის გადმოუღია, რამდენადაც ეს არათუ სასურველი, არამედ არც შესაძლებელია.



ძირითადად ყველაზე მეტად ხომლეღის შეხედულებებში ის მოსაზრებანი აღმოჩნდა საგულისხმო და ანგარიშგასაწევი, რომლებიც შემოქმედების თემატიკასთან დაკავშირებით გამოსთქვა.

გ. წერეთელზე ევროპული ლიტერატურის ზემოქმედება, ხომლეღის აზრით, იმაში გამოიხატა, რომ იგი იმდენად ცდილობს ჩვენში ევროპული ლიტერატურული მიდგომის გადმონერგვას, რამდენადაც ჩვენში ამკვიდრებს რომანის ენარს, ჩვენი გართულებული ცხოვრება რომ დახატოს.

კონკრეტულად კი გ. წერეთელი გვიჩვენებს იმ მომენტს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან, როდესაც ქართველი კაცი სიყმაწვილის ასაკიდან, ქეიფის ასაკიდან გამოდის და რთულ ცხოვრებაში იჭრება, ან იბრძვის და ან კიდევ ილუპება მასთან ბრძოლაში. იგი ბურჟუაზიული ყოფის შემოქრას გვიჩვენებს ჩვენს ქვეყანაში თავისი ქუქყითა და ლექით.

გ. წერეთელი ცოცხალ სინამდვილეს ხატავს. „ეს ისტორიაა მთელი ჩვენი ერის ყოფნისა, ქართველთა სხვადასხვა წოდების, კლასის, წრის, ასაკის და სქესთა დამოკიდებულებისა, მთელი ქართველი ახალი საზოგადოებისა, რომელიც თანდათან კარგავდა ყმაწვილურ-ახალგაზრდული პერიოდების გატაცებას, ოცნებას, ლხენას, უდარდელი ქეიფის ხანას და შედიოდა უფრო მოწიფულ, მრავალფეროვან, მრავალფერად აპრილებული ცხოვრების კალაპოტში...“

გ. წერეთლის ბელეტრისტულ ნაწარმოებში ვხედავთ ჩვენში პირველად ქართველ კაცს, ცოცხლად სისხლსა და ხორციში მყოფს, რომელიც ცხოვრებას მოუგლეჩია იდილიურ, ზღაპრული ქვეყნის არე-მარედან...“

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ თავის დროზე ხომლეღი გარკვევით მიანიშნებს, რომ გ. წერეთელი თანადროულობის გრძნობით დაჯილდოებული მწერალია, იგი ამჩნევს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე სოციალურ პროცესებს, დაუყოვნებლივ ასახავს მათ და სწორედ ამაში მდგომარეობს ძირითადად მწერლის შემოქმედების თემატიკური აქტუალობა.

ხომლეღის მიერ ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოთქმული ეს მოსაზრებები შემდგომ განვითარებას და დასაბუთებას პოულობს მ. ზანდუაყელის, ვ. კოტეტიშვილის, ს. ხუნდაძის, გრ. კიკნაძისა და სხვათა ნაშრომებში, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხომლეღი ერთგვარად აქარბებს ევროპული მწერლობის და, კერძოდ კი ზოლას გავლენაზე მითითებისას. მართლაც, „გამორიცხული არაა, რომ გ. წერეთელზე გარკვეული გავლენა მოეხდინა ევროპაში ყოფნას და იმ დიდ გამოძახილს, რომელიც ზოლას რომანებს ჰქონდათ იმ დროს... მაგრამ შეუძლებელია გ. წერეთელს ამ მიმართულებით, წინამორბედნი და მასწავლებლები მხოლოდ ევროპულ სინამდვილეში მოვუძებნოთ“. ბურჟუაზიული ურთიერთობის ამსახველი სურათები ჩვენს ლიტერატურაში ადრეც მძლავრად, საინტერესოდ იყო წარმოდგენილი, გ. წერეთლის დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან ის ძვრები შეამჩნია, რომლებიც 80-90-იან წლების საქართველოს ცხოვრებას ახასიათებდა.

ხომლეღი სხვა მწერლის თანამედროვე კრიტიკოსებთან შედარებით ფართოდ და არსებითად მისაღებად ახასიათებს გ. წერეთლის შემოქმედებას. მაღალ შეფასებას აძლევს მის პირველსავე ნაწარმოებებს: „მგზავრის წიგნებს“ და „ჩვენი ცხოვრების ყვავილს...“ ამ თხზულებებმა მაშინვე ფიზიკური რეალისტის სახელი დაუფლო მწერალს ჩვენში. დიდად იწონებს კრიტიკოსი მოგვიანებით შექმნილ მოთხრობებს „საჩინო“, „ედიშერ გელბაქიანი“, „მამიდა ასმათი“, „რუხი მგელი“, რომანს „პირველი ნაბიჯი“.

„პირველ ნაბიჯს“ კრიტიკოსი მიიჩნევს მეტად მნიშვნელოვან თხზულებად, გვირგვინად გ. წერეთლის ნაწერებისა. „ეს ნაწარმოები ძალიან აადვილებს

გ.წერეთლის შემოქმედების ტალანტის გაგებასა და შეფასებას. ბახვა ფულავა და ერემია ტიპები, რომელთა თავგადასავალი, ტრაგიზმი დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველთა გულში, ეს რომანი ლიტერატურულად კარგადაა დაწერილი. გ.წერეთლის ბელეტრისტულ ნაწერებს შორის ბრწყინვალე გვირგვინად უხდა ჩაითვალოს. “

კრიტიკოსის აზრით, ყველას მხატვრული ღირსებებით მაინც აქარბებს „პირიმზე“, რომლის გამოუქვეყნებლობა კრიტიკოსს შეუწყენარებლად მიაჩნია.

ხომლედი საგანგებოდ ჩერდება გ.წერეთლის მიერ დახატულ პერსონაჟებზე, რომლებიც მისი აზრით, გამძლე, ცხოვრებისეულ ტიპებს განასახიერებენ.

პირველსავე ნაწერებში იჩინა თავი მწერლის ნიქმა, რომლის პერსონაჟები მრავალმხრივ იქნა წარმოჩენილი. ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა გასაოცარი სინამდვილით, ცოცხლად არის დახატული. ეს შესანიშნავი თხზულება წარჩინებული ტალანტის მქონე მხატვრის ნაწარმოებებია. კიკოლიკი სრული და მასთან ცოცხალი თანამედროვე ტიპია იმ ერთი რიგი ინტელიგენციისა, რომელიც ლოგიკურად მოჰყვა ახალს, ბატონ-ყმობა რომ გადავარდა, მას შემდეგ დატრიალებულ ცხოვრებას, და ჩვენს ვითარებაში ამ კიკოლიკის კატეგორიის ინტელიგენტებმა, როგორც თვით ავტორიც ამბობს, — კიდევ მოიკიდეს ფეხი და გაიმარჯვეს. კრიტიკოსი კიკოლიკს საქართველოს ახალგაზრდა ბურჟუაზიის სიმბოლურ ტიპად მიიჩნევს.

როგორც აღნიშნავენ „ხომლედი მართალია, როცა გ.წერეთელს უწონებს ცხოვრების არსებითი მხარეებით დაინტერესებას და არა მარტო მიმავალი ფორმაციისა და მისი წარმომადგენლების სწორად დანახვას, არამედ ახალი სინამდვილისა და მისი ღვიძლი შვილების რეალისტურ ასახვასაც. გ.წერეთელმა უდაოდ კარგად დახატა კიკოლიკის, ჩიკოლიკის და კუდაბზიკის სახეები. კიკოლიკში მართლაც ტიპიურადაა განსახიერებული იმდროინდელი ინტელიგენციის გარკვეული წრე“.

ხომლელის თქმით, „პირველი ნაბიჯის“ პერსონაჟები საგანგებოდ იქცევენ ყურადღებას — იერემია წარბა გასაოცარი ხელოვნებით გამოქანდაკებული ტიპია საქართველოს დღევანდელი რაინდებისა.

იმდენად მნიშვნელოვნად იქნა ჩათვლილი გ.წერეთლის მიერ განსახიერებული ტიპები, რომ მათ მიხედვით შემდეგ ახალი სახეები შეიქმნა, „აწინდელი ცხოვრების ვითარებამ დაბადა ამ ტიპის ხალხი“. იერემია წარბას შემკვიდრეა ტარიელ მკლავაძე ეგნატე ნინოშვილისა. „გვარიშვილობას და წოდებრივ მედიდურობას სრულიად ჩაუყლაპავს და დაუბრმავებია ეს ხალხი, რადგან მეტი დასატრამბახებელი და საამაყო არაფერი დარჩენია ამ კატეგორიის თავად-აზნაურთა“. ხომლელის თქმით, იერემია წარბასა და ტარიელ მკლავაძის „ახალი მონათესავეა“ დ.კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერების“ პერსონაჟი აბესალომ სალამთაძე“.

კრიტიკოსის მართებული დასკვნით, გ.წერეთელი არ ეტანება არაჩვეულებრივი, იშვიათი ადამიანების, ბუმბერაზების ნაწარმოებებში გამოხატვას. „ჩვენაირი ადამიანების გამოხატვა უფრო გვიზიდავს, ვიდრე არაჩვეულებრივ ადამიანთა, „იმიტომ, რომ არაჩვეულებრივი, იშვიათი ადამიანით ვერ მოიქცევა და ვერ იცხოვრებს ჩვეულებრივი, ჩვენგვარი ადამიანი“.

გ.წერეთლის ნაწარმოებების მხატვრულ ღირსებებზე საუბრისას, მართალია კრიტიკოსმა დიდად გადააჭარბა, როდესაც გ.წერეთლის ენა, მისი გამომსახველობითი საშუალებები უნაკლოდ მიიჩნია, მაგრამ მან ისიც მიუთითა, რომ გ.წერეთელი გულდამშვიდებული სიკეპტიკოსია, რომ მისთვის ნიშანდობლივია სატირული



მიღგომაც. „მისი ნიჭი ხშირად ისვრის ხოლმე მწარე ირონიას და სასოგადო ნაპერწკლებს“.

როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი მწერლისა და სასოგადო მოღვაწის გ.წერეთლის მხატვრული მემკვიდრეობის შეფასებაში თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა თანამედროვე კრიტიკოსმა რომანოზ ფანცხავამ – ხომლელმა. საერთოდ, როგორც ქართული კრიტიკის ისტორიასთან დაკავშირებულ ნაშრომებში არაერთხელ აღნიშნულა, ხომლელი თავადაც საკმაოდ საინტერესო პიროვნება იყო და ამდენად მისი მოსაზრებანი ნამდვილად საყურადღებო და გასათვალისწინებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ხომლელის შეფასებანი ხშირად გარკვეულად ტენდენციურ ხასიათს ატარებენ და ოდნავ პათეტიკური ელფერიც დაჰკრავთ, მაინც შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ გიორგი წერეთლის შემოქმედების შეფასებისას, მან სწორედ დაინახა ის მთავარი პრობლემები, რომელთა წარმოჩენასაც ცდილობდა მწერალი. კრიტიკოსმა ხაზგასმით აღნიშნა მწერლის მთავარი ღირსება – რიგითი ადამიანების ცხოვრების მართებული ასახვა.

როგორც ცნობილია, გ. წერეთლის შემოქმედების შეფასებისას მისი თანამედროვე კრიტიკოსების მოსაზრებანი, შეიძლება ითქვას, ხშირად ურთიერთგამომრიცხველია, მაგრამ ეს წინააღმდეგობანი პირუთვნელად ასახევენ რეალურად არსებულ სიტუაციას, რადგან გ.წერეთლის შემოქმედება ფაქტიურად ძალიან სერიოზულ, ხშირ შემთხვევაში, ბევრი მისი თანამედროვისაგან განსხვავებულ მრავალ აღქმას ემყარება. აღნიშნულ ფონზე ხომლელის მოსაზრებანი გ.წერეთლის შემოქმედების თაობაზე, ჩვენი აზრით, დღესაც გარკვეულ ყურადღებას იმსახურებენ, როგორც თავისი დროისთვის ნამდვილად პროგრესულნი და გარკვეულწილად ობიექტურნიც.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 25.6.1993)

ФИЛОЛОГИЯ

М.А.Каджая

Р.Панцхава (Хомлели) о Г.Церетели

Р е з ю м е

Творчество известного грузинского писателя XIX в. Г.Церетели всегда вызывало заслуженный интерес у его современников. Правдивые рассказы писателя пользовались популярностью и среди профессионалов. Этим объясняется наличие интересных критических очерков о творчестве писателя еще при его жизни. Анализ творчества Г.Церетели, сделанный его современником, популярным публицистом Р.Панцхава (Хомлели), носит несколько однобокий характер. Тем не менее, его суждения интересны с точки зрения отражения мнения современника. Р.Панцхава особо отмечает способность писателя создавать реальные картины жизни и подчеркивает значимость маленького, простого человека в творчестве Г.Церетели.

M. Kajaia


R.Phantskhava-Khomleli about G.Tsereteli

Summary

Works by G.Tsereteli, the famous Georgian writer of the XIX century, always attracted the attention of his contemporaries. His truthful stories were very popular among the professionals too. A lot of critical essays on G.Tsereteli's works were the result of this interest. Although the analysis of the writer's creative work done by his contemporary, well-known publicist R.Phantskhava-Khomleli, can be considered one-sided, still his opinion should be taken into consideration as it reflected the views of the writer's contemporaries. R.Phantskhava tries to note the ability of the writer in creation of the real pictures of life and particularly the importance of common, ordinary people in G.Tsereteli's works.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. ხომლელი. ქართველი გლეხის შვილი (ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი), გაზ. „კვალი“ №10, 16, 38, 39; 1984, შდრ. ხომლელი, რჩეული ნაწერები, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, 1963.
2. ხომლელი. რჩეული ნაწერები. თბილისი, 1963.
3. ხომლელი. გაზ. „ტრიბუნა“, № 322-324, 1922.
4. გრ.კიკნაძე. მეტყველების სტილის საკითხები. თბილისი, 1957.
5. კ.აბაშიძე. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შესავალი წერილით, 1970.
6. დ.გამეზარდაშვილი. წიგნში, ხომლელი, რჩეული ნაწერები, 1963, 050.
7. ჯ.კუმბურიძე. მწერლები და კრიტიკოსები, თბილისი, 1974.



А.Г.Джахая

О совпадении понятий „темперамент“,
„динамический стереотип“, „установка“,
„бессознательно-психическое“

(Представлено академиком Ш.А.Надирашвили 28.06.1993)

С древнейших времен было замечено, что есть люди веселые и хмурые, вспыльчивые и сдержанные, оптимисты и пессимисты, причем независимо от влияния внешних обстоятельств, а только благодаря природным, врожденным чертам характера. В античную эпоху, когда зарождались первые научные знания, великий врач Гиппократ дал удивительно ясную и четкую классификацию всем этим человеческим типам, подразделив их на четыре темперамента: холерический, сангвинический, меланхолический и флегматический (в современной терминологии). При этом не имеет значения, что в своем учении о темпераментах Гиппократ исходил из наивного представления о свойствах крови, слизи, желчи. Объяснение и подтверждение этого учения пришло позже, когда академик Павлов в экспериментах на собаках и в наблюдениях за их поведением (при одинаковой внезапной опасности одни собаки поджимают хвост, скулят, забиваются в угол, другие щетинятся, скалят зубы, принимают боевую позу, третьи внимательно выжидают, а четвертые внешне никак не реагируют) обнаружил объективную психофизиологическую основу этих четырех темпераментов, назвав ее „динамическим стереотипом“. По Павлову, психические процессы высшей нервной деятельности следует рассматривать по трем показателям (признакам): силе, уравновешенности и подвижности. Тогда по силе протекания психических процессов их можно подразделить (здесь и далее — дихотомически) на слабые и сильные; слабому типу соответствует меланхолический темперамент. По степени уравновешенности сильных психических процессов они подразделяются на уравновешенные и неуравновешенные; сильный неуравновешенный тип соответствует холерическому темпераменту. А по степени подвижности сильных уравновешенных психических процессов они подразделяются на подвижные и инертные; сильный, уравновешенный, подвижный тип — это сангвинический темперамент; сильный, уравновешенный, инертный тип — флегматический темперамент (переводя в человеческое измерение). Таким образом, физиологическое учение о „динамическом стереотипе“ полностью подтвердило гиппократово учение о четырех человеческих темпераментах, в результате чего можем высказать утверждение: темперамент = динамический стереотип.

Однако, идя дальше, приходим к выводу, что в психологическом учении академика Д.Узнадзе об „установке“ (предустановке), как наперед заданной апперцепции или поведенческой ориентации человека, также проглядывает динамический стереотип, или темперамент, хотя в известном смысле понятие „установка“ богаче по содержанию, нежели „динамический стереотип“ или „темперамент“. Но верно и то, что отмеченное совпадение этих понятий не случайное: и там, и тут действует один и тот же физиологический механизм, изнутри, наподобие матрицы, детерминирующий одинаковую поведенческую реакцию индивида при различных внешних обстоятельствах, или, наоборот, разную модель поведения при одинаковых обстоятельствах, даже если эта реакция неадекватная: жизнерадостному сангвинуку все видится в розовых тонах (матрица: „розовые очки“), а при тех же внешних обстоятельствах печальному меланхолику все видится в мрачных тонах (матрица: „темные очки“). Поэтому если человек есть биосоциальное существо, то его биогенетическая доминанта и есть установка в широком смысле слова, включающая и динамический стереотип, и темперамент. Тогда: темперамент=динамический стереотип=установка.

Наконец, весь этот ряд в целом выглядит как хорошо согласованное и упорядоченное проявление бессознательно-психического, поскольку здесь ни одна психологическая реакция индивида заранее сознательно не продумана, человек не волен в своих чувствах, действиях и поступках, он не может преодолеть собственный темперамент, который ему неподвластен, скорее наоборот, человек оказывается рабом собственного темперамента (установки) со всеми его положительными и отрицательными сторонами. Более того, поведение человека мотивационно часто даже не проходит через его сознание, оставаясь в подсознании как безотчетное бессознательно-психическое. Таким путем приходим к современному учению о бессознательно-психическом, чтобы сформулировать следующий тезис: понятия „темперамент“, „динамический стереотип“, „установка“, „бессознательно-психическое“ суть однопорядковые понятия, по-разному и с разных сторон описывающие один и тот же психологический феномен.

Кафедра философии
Грузинского института
субтропического хозяйства

(Поступило 30.06.1993)



ლ. ჯახაია

„ტემპერამენტის“, „დინამიკური სტერეოტიპის“,
„განწყობისა“ და „არაცნობიერი-ფსიქიკურის“ ცნებათა
დამთხვევის შესახებ

რეზიუმე

ანტიკურ ეპოქაში ჰიპოკრატემ მოგვცა ადამიანთა ტიპების კლასიფიკაცია, რომლებიც მან გაყო ოთხ ტემპერამენტად: ქოლერიკული, სანგვინიკური, მელანქოლიკური და ფლეგმატიკური (თანამედროვე ტერმინოლოგიით). აკადემიკოსმა პავლოვმა ექსპერიმენტულად დაასაბუთა ამ ოთხი ტემპერამენტის ობიექტური ფსიქოფიზიოლოგიური საფუძველი და უწოდა მას „დინამიკური სტერეოტიპი“, ხოლო აკადემიკოს უზნაძის ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში „განწყობა“ ფაქტიურად გულისხმობს დინამიკურ სტერეოტიპს, თუმცა „განწყობის“ ცნება უფრო მდიდარია თავისი შინაარსით. და ბოლოს, დასახელებულ მოვლენათა რიგი წარმოადგენს არაცნობიერ - ფსიქიკურის გამოხატულებას, ვინაიდან ადამიანის ქცევის მოტივაცია არის გაცნობიერებული ინდივიდის მიერ და რჩება ქვეცნობიერებაში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცნებები: „ტემპერამენტი“, „დინამიკური სტერეოტიპი“, „განწყობა“, „არაცნობიერი - ფსიქიკური“ - სხვადასხვა კუთხით ასახავენ ერთ და იმავე ფსიქოლოგიურ ფენომენს.

PSYCHOLOGY


L. Jakhiaia

On Coincidence of Conceptions "Temperament", "Dynamic Stereotype", "Setting", "Unconscious-Psychical"

Summary

In antique epoch Hippocrates gave the classification of human types, dividing them into four temperaments: choleric, sanguine, melancholic and phlegmatic (in modern terminology). Academician Pavlov experimentally proved objective psychophysiological base of these temperaments, and called them „dynamic stereotype“. However in D.Uznadze's psychological studies on „Setting“, temperament or dynamic stereotype are also observed here, though in a sense the term „Setting“ is richer by its contents. Finally, all this looks as the regulating manifestation of unconscious-psychical as the human behaviour doesn't pass through his conscious motivately and remains in his subconsciousness. Thus the notions „Temperament“, „Dynamic stereotype“, „Setting“, „Unconscious-Psychical“ are the same notions, differently and in different ways describing one and the same psychological phenomenon.

ავტორთა საყურადღებოდ



1. ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ ქვეყნდება აკადემიისათა და წევრ-კორესპონდენტთა, აკადემიის სისტემაში მომუშავე და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომლებიც შეიცავს ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჩერ გამოუქვეყნებელ შედეგებს. წერილები ქვეყნდება მხოლოდ იმ სამეცნიერო დარგებიდან, რომელთა ნომენკლატურული სია დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2. „მოამბეში“ არ შეიძლება გამოქვეყნდეს პოლემიკური წერილი, აგრეთვე მიმოხილვითი ან აღწერითი ხასიათის წერილი ცხოველთა, მცენარეთა ან სხვათა სისტემატიკაზე, თუ მასში მოცემული არაა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო შედეგები.

3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წერილები უშუალოდ გადაეცემა გამოსაქვეყნებლად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორთა წერილები ქვეყნდება აკადემიკოსთა ან წევრ-კორესპონდენტთა წარდგინებით. როგორც წესი, აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს „მოამბეში“ დასაბეჭდად წელიწადში შეუძლია წარმოდგინოს სხვა ავტორთა არა უმეტეს ერთი წერილისა თითოეულ ნომერში (მხოლოდ თავისი სპეციალობის მიხედვით). საკუთარი - რამდენიც სურს, ხოლო თანაავტორებთან ერთად - არა უმეტეს სამი წერილისა. გამონაკლის შემთხვევაში, როცა აკადემიკოსი ან წევრ-კორესპონდენტი მოითხოვს მეტი წერილის წარდგინას, საკითხს წვევტს მთავარი რედაქტორი. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია წარსადგინად გადასცემს აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს. ერთსა და იმავე ავტორს (გარდა აკადემიკოსისა და წევრ-კორესპონდენტისა) შეუძლია „მოამბეში“ გამოაქვეყნოს არა უმეტეს სამი წერილისა (სულ ერთია, თანაავტორებთან იქნება იგი, თუ ცალკე).

4. წერილს აუცილებლად უნდა ახლდეს ჟურნალ „მოამბის“ რედაქციის სახელზე იმ სამეცნიერო დაწესებულების მომართვა, სადაც შესრულებულია ავტორის სამუშაო.

5. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბეჭდად სავსებით მზა სახით ქართულ და ინგლისურ ენებზე ორ-ორ ცალად. წერილის მოცულობა ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურის ნუსხითურთ, რომელიც მას ბოლოში ერთვის, არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის 4 გვერდს (8000 სასტამბო ნიშანი), ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით გადაწერილ 6 სტანდარტულ გვერდს (ფორმულებიანი წერილი კი - 5 გვერდს). არ შეიძლება წერილების ნაწილებად დაყოფა სხვადასხვა ნომერში გამოაქვეყნებლად. ავტორისაგან რედაქცია დებულობს თვეში მხოლოდ ერთ წერილს.

6. იმის გამო, რომ ამიერიდან ჟურნალის სტატიები იწყობა კო მპიუტერზე, რედაქციისათვის უმჯობესია, თუ შრომა წარმოდგენილი იქნება დისკეტზე ჩაწერილი ფაილის სახით. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა, რომ ავტორებმა საკონსულტაციოდ მიმართონ რედაქციას.

7. აკადემიკოსთა ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება რედაქციის სახელზე დაწერილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე წარდგინების თარიღის აღნიშვნით. მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რა არის ახალი წერილი, რა მეცნიერული ღირებულება აქვს მას და რამდენად უპასუხებს ამ წესების 1 მუხლის მოთხოვნას.

8. წერილი არ უნდა იყოს გადატვირთული შესავლით, მიმოხილვით, ცხრილებით, ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურით. მასში მთავარი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი საკუთარი გამოკვლევის შედეგებს. თუ წერილში გზადაგზა, ქვეთავების მიხედვით გადმოცემულია დისკენები, მაშინ საჭირო არაა მათი გამოყოფა წერილის ბოლოს.

9. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დაიწეროს ავტორის (ავტორთა) ინიციალები და გვარი (გვარები), ქვემოთ - წერილის სათაური. ზემოთ მარჯვენა მხარეს იწერება მეცნიერების დარგი, რომელსაც განეკუთვნება წერილი. ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს აღინიშნება იმ დაწესებულების სრული დასახელება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

10. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ცალად კონვერტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს შავი ტუშით. წარწერები ნახაზებს უნდა



გაუკეთდეს კალიგრაფიულად და ისეთი ზომისა, რომ შემცირების შემთხვევაშიც კარგად იკითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემო წარწერების ტექსტი წერილის ძირითად ტექსტის ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე. არ შეიძლება ფოტოგრაფიის დაწებების დაწებება დედნის გვერდებზე. ავტორმა დედნის კიდეზე ფანქრით უნდა აღნიშნოს რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისეთი ცხრილი, რომელიც ჟურნალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები მელნით მკაფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე ვგზემპლარში. ბერძნულ ასოებს ქვემოთ ყველგან უნდა გაეყვას თითო ხაზი წითელი ფანქრით, მთავრულ ასოებს — ქვემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით, ხოლო არამთავრულ ასოებს — ზემოთ ორ-ორი პატარა შავი ხაზი. ფანქრითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრით ნიშნაკებიც (ინდექსები და ხარისხის მაჩვენებლები).

11. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საჭიროა დაცულ იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი, თუ დამოწმებულია საქართველოში, ვურჯენოთ ჟურნალის შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვურჯენოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერაციაც ურჯენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება. დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშაობს და რა თანამდებობაზე, ურჯენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

12. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებად შეკრული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით — არაუმეტეს ორი დღისა. თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

(დამტკიცებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 10.10.1968; შეტანილია ცვლილებები 6.2.1969, 15.4.1994 და 7.12.1995)

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : 380008 თბილისი-8, რუსთაველის პროსპ. 52, ოთახი № 433, ტელ. 99-75-93.

